საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ

ანალიტიკური ანგარიში

2020

UN for Persons with Disabilities in Georgia

საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ

ანალიტიკური ანგარიში

ეს ანგარიში შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

სარჩევი

შესავალი 4

შემაჯამებელი დასკვნა 6
შერჩევის მექანიზმი 10
კვლევის ინსტრუმენტი 11
ინტერვიუერების/სუპერვაიზორების ტრენინგი და საველე სამუშაოები 11
ძირითადი მიგნებები 12

თავი პირველი
ინფორმირებულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ 24

თავი მეორე
დამოკიდებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ 30

2.1. ცრურწმენები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ 30
2.2. წარმოდგენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობის შესახებ 31
2.3. დამოკიდებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ 32
2.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ერთ სივრცეში ყოფნა 43
2.5. სხვადასხვა სტატუსის ადამიანთა მიმღებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის როლში 47
2.6. საზოგადოების (სოციალური გარემოს) რეაქციის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამცირებაზე 55
2.7. მიმღებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თანამშრომლის მიმართ 57
2.8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და უპირატესობები 60

თავი მესამე
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება 66

3.1. ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთო მდგომარეობის შეფასება 66
3.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი საჭიროებები 69
3.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხი 73
3.4. სახელმწიფო პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ 82

შესავალი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე უხილავი და დაუცველი ჯგუფია. ისინი მრავალ გამოწვევას აწყდებიან განათლების, ჯანდაცვის, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის, შრომისა და დასაქმების თუ სხვა ძირითად უფლებათა ხელმისაწვდომობის მხრივ.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2019 წლის დეკემბერში საქართველოში სოციალური პაკეტის მიმღებად რეგისტრირებული იყო 126 002 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი,[1] რომლებიც საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის დაახლოებით 3%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად ნაკლებია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემზე, რომლის მიხედვითაც, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 15%-ს გარკვეული ტიპის შესაძლებლობის შეზღუდვა აქვს.[2] მსოფლიოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობასა და საქართველოში ამ ჯგუფის წილს შორის ამგვარი განსხვავება, პირველ რიგში, უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სამედიცინო მოდელს, რომელსაც საქართველო დღემდე იყენებს. სამედიცინო მოდელის მიხედვით, პირს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი ენიჭება კონკრეტული დიაგნოზის შემთხვევაში, რომელიც შედის ნორმატიული აქტით წინასწარ დამტკიცებულ ნოზოლოგიათა ჩამონათვალში. ამ გზით ვერ ხერხდება ადამიანის შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხისა და ინდივიდუალურ საჭიროებათა სწორად შეფასება. სამედიცინო მოდელი ასევე აძლიერებს საზოგადოებაში არსებულ სტიგმას, რადგან შესაძლებლობის შეზღუდვის დადგენა ცალსახად უკავშირდება „დაავადებას“ და არა სოციალურ ფაქტორებსა თუ გარემოში არსებულ ბარიერებს. გარდა ამისა, მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებს შორის განსხვავებას, შესაძლოა, ისიც განაპირობებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მა თი ახლობლები ჯერ კიდევ ეწევიან ერთგვარ თვით სტიგმატიზაციას და ამ სტატუსს გაურბიან. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ფორმალურად აღრიცხული და რეალურად არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა.

როგორც უკვე აღინიშნა, შეზღუდული შესაძლებლობა საქართველოში (სხვა საზოგადოებებშიც) ხშირად განიხილება როგორც „ავადმყოფობა“ და არა სოციალური გამოწვევა. როგორც წესი, მსგავს შეფასებასა და მდგომარეობას საზოგადოების დამოკიდებულება იწვევს. არცთუ იშვიათად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ინდივიდები სახელმწიფო პოლიტიკისთვისაც შეუმჩნევლები რჩებიან. საზოგადოების შეუსაბამო შეხედულებები და დამოკიდებულება ასაზრდოებს და განაპირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ქმედებებსაც, რაც ხშირად დისკრიმინაციულია და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს ეწინააღმდეგება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებით სრულად სარგებლობას, ერთი მხრივ, აბრკოლებს არსებული სტიგმები

[1]საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემები - სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1445
[2]World Health Organization (WHO), Disability and Health: Factsheet (Nov. 2016)

და სტერეოტიპები, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს არასწორად დაგეგმილი და არათანმიმდევრული პოლიტიკა, რაც ხელს უშლის სიტუაციის სწორ ანალიზსა და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების ნგრევას.

აღნიშნული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზანია მცდარ დამოკიდებულებათა, ცრურწმენების, სტერეოტიპებისა და მათი მიზეზების გამოვლენა. ის ასევე ემსახურება საზოგადოების ცნობიერებისა და ინფორმირებულობის ხარისხის კვლევას, ვინაიდან სწორედ დაბალი ცნობიერება იწვევს არასწორ აღქმას, რაც შემდგომ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებასა და ქცევაში აისახება.

შემაჯამებელი დასკვნა

დღეს საქართველო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო მოდელიდან სოციალურ მოდელზე გადასვლის საწყის ეტაპზეა, რაც, პირველ რიგში, საზოგადოებრივი ცნობიერებისა და განწყობების ცვლილებაში უნდა აისახოს. წინამდებარე კვლევა სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას სწავლობს, ალტერნატიული - სოციალური და სამედიცინო - მოდელების ჭრილში.

კვლევა შეეხო ისეთ თემებს, როგორიცაა: საზოგადოების ინფორმირებულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებსა და საჭიროებებზე; მოსახლეობის დამოკიდებულება ამ პირთა მიმართ და მათთან საზოგადოების სხვა წევრების ურთიერთობის გამოცდილება; ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება და ა.შ.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას ჰქონია შეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან (ჰყავს შშმ ოჯახის წევრი, ნათესავი, მეგობარი, მეზობელი, ნაცნობი და სხვა). ეს მიუთითებს იმაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საზოგადოებაში თანდათან უფრო „ხილვადები“ ხდებიან, მათი გარიყვის ტენდენცია სუსტდება, მოქალაქეები „განსხვავებულ“ ადამიანებს ხედავენ და მათთან თანაცხოვრებას ეჩვევიან.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შემხებლობის გარდა, რესპონდენტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ფლობს ინფორმაციას ამ პირთა უფლებებსა და საჭიროებებზე. საკუთარი ინფორმირებულობის შესახებ სუბიექტური აღქმის მიღმა, საინტერესოა, რომ ტესტურ შეკითხვებში რესპონდენტთა უმრავლესობამ სწორი მიდგომები აჩვენა. აღსანიშნავია, რომ არსებობს კორელაცია რესპონდენტთა განათლების დონესა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ ინფორმირებულობის ხარისხს შორის - რაც უფრო მაღალია განათლების დონე რესპონდენტებში, მით მეტი იციან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და უკეთ ერკვევიან შესაძლებლობის შეზღუდვასთან დაკავშირებულ საკითხებში. ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ცნობიერება უფრო მაღალია იმ ადამიანებში, ვისაც მათთან უშუალო შეხება აქვს.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ინფორმაციის ძირითადი წყარო ტელევიზიაა. რესპონდენტთა მეხუთედზე მეტი აღნიშნავს, რომ უნახავს სატელევიზიო სიუჟეტები მათი უფლებების დარღვევებზე. ეს იმ დადებით მოვლენაზე მიუთითებს, რომ მედიასაშუალებებმა დაიწყეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევების გაშუქება; თუმცა, მედიასაშუალებების ეს, ჯერ კიდევ ფრაგმენტული ინტერესი უნდა გაძლიერდეს და გაღრმავდეს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმღებლობის გაზრდას საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებლობის შეზღუდვის თემატიკაზე მომზადებული სიუჟეტები თუ სხვა ტიპის საინფორმაციო მასალები ეფუძნებოდეს მათი მრავალფეროვნებისა თუ პიროვნული ავტონომიის პატივისცემას და ამყარებდეს მათ მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას.

საინტერესოა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მოსახლეობის 10%-ს შეადგენენ; რესპონდენტთა ეს წარმოდგენა უფრო ახლოსაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დეკლარირებულ სტატისტიკასთან (15%), ვიდრე საქართველოში არსებულ ოფიციალურ მონაცემებთან (3%).

ესეც ირიბი მაჩვენებელია იმისა, რომ რესპონდენტთა აღქმით, საქართველოს სოციალური სივრცე არ არის „დაცლილი“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთაგან (როგორი აღქმაც, სავარაუდოდ, ადრე არსებობდა).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულებაში იკვეთება ე.წ. „პოზიტიური დისკრიმინაცია“. მაგალითად, რესპონდენტთა მოსაზრებით, გაზრდილ სოციალურ დახმარებას, პირველ რიგში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა იღებდნენ და სხვადასხვა უპირატესობით სარგებლობდნენ. ასეთი პრაქტიკა დანერგილია ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფაქტობრივი თანასწორუფლებიანობის მიღწევას და არ განიხილება დისკრიმინაციად.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ეწინააღმდეგება და არ იზიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის წამახალისებელ დებულებებს. რესპონდენტები მხარს არ უჭერენ ნაყოფის მოცილებას, თუ დედა გაიგებს, რომ ბავშვი ინტელექტუალური შეზღუდვით დაიბადება. ამასთან, მათი უმრავლესობა ემხრობა სახელისუფლებო სტრუქტურებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობას. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ რესპონდენტთა დამოკიდებულებებში არსებობს ერთგვარი „თეთრი ლაქები“, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევას უკავშირდება. მაგალითად, გამოკითხულთა 43% ამ მოწყვლად ჯგუფებზე ზრუნვას ხელისუფლების კეთილ ნებად მიიჩნევს და არა მის ვალდებულებად. ასევე, რესპონდენტთა მცირე ნაწილი ეთანხმება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის სპეციალური ეტიკეტის დაცვის საჭიროებას (მხოლოდ 37.5% თვლის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციისას საჭიროა სპეციალური ეტიკეტის დაცვა).

გამოკითხვამ აჩვენა შემდეგი წინააღმდეგობა: ერთი მხრივ, რესპონდენტთა უმრავლესობა აღიარებს, რომ თავს კომფორტულად იგრძნობდა სხვადასხვა ემპირიულ სიტუაციაში (ტრანსპორტში, სამსახურში, სუფრასთან, სამსახურში, მოგზაურობაში) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან თანაყოფნისას; თუმცა, მეორე მხრივ, გამოკითხულთა ასევე უმრავლესობა ფიქრობს, რომ „სხვები“, ანუ საზოგადოების წევრები ასეთი თანაცხოვრებისთვის მზად არ არიან. ამგვარი ნაპრალი რესპონდენტთა განწყობებსა და სხვების მზაობის შეფასებას შორის ბადებს ეჭვს, რომ ისინი ნაკლებად გულწრფელნი არიან და პირისპირ გამოკითხვაში სოციალურად სასურველი აქტორის როლს თამაშობენ, რაც საკუთარი თავის პოზიტიურად წარმოჩენას ემსახურება. ეს, თავის მხრივ, მიუთითებს, რომ საზოგადოება მაინც არ არის მზად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან თანაცხოვრებისთვის (განსაკუთრებით, უფრო ხანგრძლივი ურთიერთობებისას, როგორიცაა, მაგალითად, ურთიერთობები სამსახურსა ან მოგზაურობაში). თუმცა, მეორე მხრივ, თავად რესპონდენტების დიდი ნაწილი აცნობიერებს საკუთარ „ჩავარდნებს“; კერძოდ, ყოველი მეორე გამოკითხული აღიარებს, რომ კარგად არ ესმის ისეთი საკითხები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევას უკავშირდება. როგორც ჩანს, ადეკვატურ დამოკიდებულებათა ჩამოყალიბების კუთხით, კიდევ ბევრი ბარიერია დასაძლევი.

საერთო ჯამში, კვლევა აჩვენებს, რომ რესპონდენტებს არათანმიმდევრული დამოკიდებულება აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯგუფის მიმართ. ამ მხრივ, რესპონდენტები ოპორტუნისტულ მისწრაფებებს ავლენენ: გარკვეული მიმართულებით მათი დამოკიდებულება ადეკვატურია, ხოლო სხვა მიმართულებით (უფლებების კონტექსტში) - ნაკლებად ადეკვატური/არაადეკვატური. კერძოდ, გამოკითხულთა უმრავლესობა ლოიალურია ფიზიკური და სენსორული შეზღუდვის მქონე პირთა მიმართ (ეთანხმება მათ

ყოფნას დეპუტატად, კარის მეზობლად, თანამშრომლად, მშობლად და ა.შ.), თუმცა, როცა საქმე ინტელექტუალურ ან ფსიქიკურ შეზღუდვებსეხება, მნიშვნელოვნად იზრდება მათ მიმართ რეზისტენტულობის ხარისხი. შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობისთვის ინტელექტუალური და ფსიქიკური შეზღუდვა სტიგმაა, რაც, თავის მხრივ, ამ შეზღუდვების მქონე ადამიანების მარგინალიზაციასა და მათ მიმართ სოციალური დისტანციის ზრდას განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ თვით იმ რესპონდენტების უმრავლესობასაც კი აქვს ნეგატიური დამოკიდებულება ინტელექტუალური და ფსიქიკური შეზღუ-დვების მქონე პირთა მიმართ, ვისაც ასეთ პირებთან უშუალო შეხება (ანუ ურთიერთობის გამოცდილება) აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვა 2006 წლიდან დაიწყო, რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედი არ უჭერს მხარს ინკლუზიურ განათლებას; ასევე, გამოკითხულთა თითქმის ნახევარს მიაჩნია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სამსახურში აყვანა დამატებით ხარჯებს მოითხოვს და, შესაბამისად, დამსაქმებლისთვის პრობლემურია. გარდა ამისა, რესპონდენტების დიდი ნაწილი „ვარდისფერი სათვალით“ უყურებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელმისაწვდომობას როგორც სამედიცინო, ისე, ზოგადად, სახელმწიფო და კერძო სერვისებზე - მიიჩნევს, რომ მათთვის ასეთი სერვისები თანაბრად ხელმისაწვდომია. ეს დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ საზოგადოებას აკლია ინფორმაცია და იმ საჭიროებათა თუ გამოწვევების გაცნობიერება, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშეა.

რესპონდენტთა უმრავლესობა (57%) შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშემშლელ ძირითად ფაქტორად სოციალურ გარემოს ასახელებს; თუმცა, როდესაც კითხვა ეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითად (პირველი, მეორე და მესამე რიგის) საჭიროებებს, რესპონდენტებმა მიუთითეს სამედიცინო დახმარებაზე (პირველი რი-გის საჭიროება), მედიკამენტებით უზრუნ-ველყოფასა (მეორე რიგის საჭიროება) და მატერიალურ დახმარებაზე (მესამე რიგის საჭიროება). ეს მიუთითებს, რომ საზოგადოებაში კვლავ ფესვგადგმულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო მოდელი, რამდენადაც ეს ჯგუფი მაინც სამედიცინო ჭრილში განიხილება და მატერიალური დახმარების ობიექტად აღიქმება.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების შესწავლა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, პირისპირი ინტერვიუ.

კვლევა ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით, 11 რეგიონში. რესპონდენტები გამოიკითხნენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. სულ კვლევის ფარგლებში ჩატარდა 5000 ინტერვიუ, რაც, საქართველოს რეგიონების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. ცხრილი #1):

ცხრილი #1

სამიზნე რეგიონები	ინტერვიუს რაოდენობა	შერჩევის ცდომილება (95%-იანი სანდოობა)
თბილისი	700	3.7%
აჭარა	450	4.6%
გურია	380	5.0%
იმერეთი	600	4.0%
კახეთი	450	4.6%
მცხეთა-მთიანეთი	380	5.0%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	380	5.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	450	4.6%
სამცხე-ჯავახეთი	380	5.0%
ქვემო ქართლი	400	4.9%
შიდა ქართლი	430	4.7%
სულ	**5000**	**1.4%**

შერჩევის მექანიზმი

კვლევისთვის რესპონდენტები შეირჩნენ მრავალსაფეხურიანი სტრატიფიცირებული (კლასტერული) შერჩევის მეთოდით.

საწყის ეტაპზე შერჩევითი ერთობლიობა (5000 რესპონდენტი) გადანაწილდა საქართველოს რეგიონებში, მათში ამომრჩეველთა (სრულწლოვან მოქალაქეთა) წილის პროპორციულად.
შემდგომი სტრატიფიკაცია განხორციელდა ტერიტორიული ერთეულების შესაბამისად, როგორიცაა:

ა) ქალაქის დასახლება
ბ) სოფლის დასახლება

მაშასადამე, მოცემულ შერჩევაში სტრატებს წარმოადგენდა ქალაქის და სოფლის დასახლებები.

კლასტერებად შეირჩა სააღწერო უბნები, რომლებიც განსაზღვრულია როგორც ქალაქებისთვის/მუნიციპალური ცენტრებისთვის (ურბანული ტერიტორიული ერთეულებისთვის), ისე სოფლებისთვის (სოფელი თავად წარმოადგენს საარჩევნო უბანს, რომელიც შედგება სააღწერო უბნებისგან).

კლასტერიზაციის პროცესში განისაზღვრა პირველადი, მეორადი და საბოლოო შერჩევის ერთეულები:

- **პირველადი შერჩევის ერთეული (PSU):** საარჩევნო უბნები ურბანულ და რურალურ დასახლებებში.
- **მეორადი შერჩევის ერთეული (SSU):** შინამეურნეობა (ოჯახი).
- **საბოლოო შერჩევის ერთეული (FSU):** 18 და უფროსი ასაკის ინდივიდი.

შერჩევის წერტილებში უშუალოდ ოჯახები (SSU) ამორჩეულია ე.წ. „შემთხვევითი ხეტიალის“ მეთოდით. თითოეულ ინტერვიუერს მიეცა შერჩევის წერტილის გეოგრაფიული/სივრცითი არეალი (საზღვრები), რომელზეც დატანილი იყო კონკრეტული ქუჩები და მისამართები. ამასთან, თითოეულ მათგანს განესაზღვრა საწყისი მისამართი. მსგავსმა მიდგომამ გამორიცხა ერთსა და იმავე შერჩევის წერტილში განმეორებითი ვიზიტის შესაძლებლობა.
კვლევაში მონაწილე ოჯახების მოსაძიებლად გამოყენებულია ე.წ. ინტერვალის („ბიჯის“, step) მეთოდი, რომელიც განსხვავებულად განისაზღვრა:

- მრავალსართულიანი კორპუსებისათვის (ყოველი მე-7 ოჯახი მაქსიმუმ 5 სართულიან კორპუსებში, ყოველი მე–9 ოჯახი იმ კორპუსებში, სადაც სართულების რაოდენობაა 6–11–ის ფარგლებშია, ან ყოველი მე–11 ოჯახი მინიმუმ 12 სართულიან კორპუსებში); ამასთან, ერთ კორპუსში არ გამოკითხულა სამზე მეტი ოჯახი.
- კერძო დასახლებებისა და ე.წ. „იტალიური ეზოებისთვის“ (ყოველი მე-5 ოჯახი).
- სოფლებისთვის (ყოველი მე-5 ოჯახი).

ინტერვალის დაცვა მიზნად ისახავდა გამოსაკითხი ოჯახების მაქსიმალურ სივრცით გაფანტულობას და საველე სამუშაოების საარჩევნო უბნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებას.
ოჯახებში **რესპონდენტი შეირჩა** შემთხვევითობის პრინციპით, კერძოდ, ბოლო დაბადების დღის მიხედვით: თავდაპირველად ინტერვიუერმა ოჯახის ერთ-ერთი წევრის დახმარებით შეადგინა ოჯახის სრულწლოვან წევრთა სია, ხოლო შემდგომ იკითხა, შესაძლებელი იყო თუ არა უკანასკნელი დაბადების დღის მქონე ოჯახის წევრის გამოკითხვა.

კვლევის ფარგლებში ოჯახის წევრად განისაზღვრა პირი, ვინც შესაძლოა, ოჯახის უფროსის ნათესაური ვერტიკალის (შვილი, შვილიშვილი, მშობელი, მეუღლე, დედმამიშვილი) წევრი არ არის, თუმცა, ამ ოჯახში 12 თვის განმავლობაში მინიმუმ 182 დღე (ანუ დაახლოებით 6 თვე მაინც) ცხოვრობს.

თუ ბოლო დაბადების დღის პრინციპით შერჩეული რესპონდენტი სახლში არ იმყოფებოდა, მაგრამ მასთან კონტაქტი შესაძლებელი იყო საველე სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, ინტერვიუერი განმეორებით მიდიოდა ოჯახში. თუ რაიმე მიზეზით (ინტერვიუზე უარი, ავადმყოფობა, არყოფნა და სხვა) ვერ ხერხდებოდა შერჩეულ რესპონდენტთან ინტერვიუს ჩატარება, ინტერვიუერს ეკრძალებოდა, გამოეკითხა ოჯახის სხვა წევრი და გადადიოდა ახალ ოჯახში, შესაბამისი ინტერვალის დაცვით.

კვლევის ინსტრუმენტი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ ინფორმირებულობისა და დამოკიდებულებათა შესასწავლად შემუშავდა კითხვარი, რომელიც მოიცავდა რამდენიმე ბლოკს.

სრულყოფილი კითხვარის შესამუშავებლად, საქართველოს 4 რეგიონში (თბილისი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, აჭარა) წინასწარ ჩატარდა შეხვედრები ფოკუს ჯგუფებში, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებით იყო დაკომპლექტებული. აღნიშნულმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა, რომ კითხვარში მაქსიმალურად დაფარულიყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ინდივიდებთან დაკავშირებული საკითხები, როგორც ინფორმირებულობის, ასევე დამოკიდებულებათა თვალსაზრისით.

ინტერვიუერების/ სუპერვაიზორების ტრენინგი და საველე სამუშაოები

კითხვარისა და შერჩევის დიზაინის დასწავლის მიზნით, ანალიტიკოსმა ჩაატარა საგანგებო ტრენინგი სუპერვაიზორებისა და ინტერვიუერებისათვის.

საველე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო 11-მა სუპერვაიზორმა და დაახლოებით 110-მა ინტერვიუერმა. დაფარვის ზონები თანაბრად გადანაწილდა - ერთი სუპერვაიზორი კურირებდა ერთი რეგიონის საველე სამუშაოს. მონაცემების ელექტრონული საშუალებებით მოსაპოვებლად, კითხვარის ინტეგრირება მოხდა ე.წ. ODK სისტემაში.

საველე სამუშაოებმა მოიცვა 23 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე პერიოდში.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სრულყოფილებისათვის, საველე სამუშაოების პარალელურად განხორციელდა კონტროლი. საველე კონტროლი ჩაუტარდა შერჩევითი ერთობლიობის 10%-ს (500 ინტერვიუ). საველე კონტროლმა მოიცვა ორი ძირითადი ასპექტი: სწორად შეარჩია თუ არა ინტერვიუერმა ოჯახი და რესპონდენტი; ამასთან, დაიცვა თუ არა კითხვარის შევსების ინსტრუქცია და რამდენად ადეკვატურად განიხილა კითხვების შინაარსი რესპონდენტებთან.

მონაცემთა სტატისტიკური მოწესრიგება და ანალიზი

საველე სამუშაოების მიმდინარეობისას სტატისტიკოსმა შექმნა მონაცემთა ბადე მონაცემთა ანალიზის პროგრამის - SPSS-ის გამოყენებით. მოხდა კითხვარის თითოეული ღია და ნახევრად დახურული შეკითხვის პასუხის კოდირება, მონაცემთა ე.წ. „გაწმენდა“ და შეწონვა.

კვლევის ფარგლებში სხვადასხვა ასპექტის გამოსაკვეთად და ორ საკითხს შორის კავშირის დასადგენად, მიღე-

ბული მონაცემები გაანალიზდა სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით: ერთგანზომილებიანი სიხშირული განაწილების, კროსტაბულაციების, კორელაციის, რეგრესიის და ფაქტორული ანალიზის მეთოდებით. შესაბამისად, მონაცემები გაანალიზდა როგორც უნივარიაციული, ისე ბივარიაციული და მულტივარიაციული მეთოდებით.

ძირითადი მიგნებები

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

რესპონდენტთა უმრავლესობა - 58.5% - პირადად იცნობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ერთ პირს მაინც: თითქმის ყოველი მესამე რესპონდენტი (30.7%) პირადად იცნობს 1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, 21.7% - 2–3 პირს, ხოლო 6% - 4–ზე მეტს. რესპონდენტთა 40.5% არ იცნობს პირს, ვისაც აქვს შეზღუდული შესაძლებლობა.

გამოკითხვაში მონაწილე იმ ოჯახების წილი, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრი ჰყავთ, 5.6%-ია. გამოკითხულთა დაახლოებით 1/3–ს (30.5%) ჰყავს მეზობელი შეზღუდული შესაძლებლობით. ნათესავი შეზღუდული შესაძლებლობით ჰყავს 18%-ს. რესპონდენტთა 10.6% მიუთითებს, რომ მისი მეგობარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. მხოლოდ 2.7%–ს ჰყავს თანამშრომელი შეზღუდული შესაძლებლობით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ თემის წილი შრომის ბაზარზე მცირეა.

რესპონდენტებთან რაიმე სტატუსით (ოჯახის წევრი, ნათესავი, მეზობელი, მეგობარი და ა.შ.) დაკავშირებულ შეზღუდული შესაძლებლობის პირთაგან თითქმის ნახევარს აქვს ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვა (პროცენტული მაჩვენებლები მერყეობს 42%–დან–48%–ის ფარგლებში). მეორე ადგილზეა სენსორული შეზღუდვის მქონე პირები (16–24%), მესამეზე - ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირები (14%–23%), ხოლო მეოთხეზე - ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები (10–15%).

ინფორმირებულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებსა და საჭიროებებზე

რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (51.2%) მიიჩნევს, რომ ფლობს ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებსა და საჭიროებებზე. აღსანიშნავია, რომ ასე ფიქრობს (უფრო ან სავსებით ინფორმირებულია) უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა 60.4%, ხოლო არასრული საშუალო/საშუალო განათლების მქონეთა შორის მსგავს პოზიციას 43.7% იზიარებს. როგორც აღმოჩნდა, იმ რესპონდენტების 56.4%, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის უშუალო გამოცდილება აქვს, საკუთარ თავს ინფორმირებულად მიიჩნევს.

ინფორმაციის წყაროდ გამოკითხულთა 48.2% ტელევიზიას ასახელებს. მნიშვნელოვანია სოციალური ქსელების როლიც (22.4%).

გამოკითხულთა 25.4% მიუთითებს, რომ **ბოლოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ ინფორმაცია** გასული ერთი თვის განმავლობაში მიიღო. განახლებულ ინფორმაციას მეტად იღებენ ისინი, ვისაც ასეთ პირებთან უშუალო

ურთიერთობა აქვს. მათმა 29.2%-მა ბოლო ერთი კვირის პერიოდზე მიუთითა.

შეზღუდული შესაძლებლობის პირებზე მიღებული **ინფორმაცია მრავალფეროვანია.** გამოკითხულთა 28.5% მიუთითებს, რომ მიღებული ცნობები მათ სოციალურ მდგომარეობას/პრობლემებს ეხებოდა, 22.6%-ის შეფასებით კი - მათი უფლებების დარღვევას.

რესპონდენტები, ძირითადად, სწორად აფასებენ, თუ **ვინ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.** აბსოლუტური უმრავლესობა (94.1%) მიუთითებს, რომ ადამიანი ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვით, რომელიც ეტლით გადაადგილდება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია; ასევე სწორად განმარტავენ, თუ ვინ არის ყრუ (69.2%),უსინათლო(77.1%),დაუნისსინდრომის (67.3%), ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირი (55.8%). თუმცა, ამასთან, გამოკითხულთა 52.6%-ის შეფასებით, აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, რაც ერთმნიშვნელოვნად ასე არ არის.

რესპონდენტების უმრავლესობა სწორ **ინფორმაციას** ფლობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ. შესაბამისად, **არასწორად** მიიჩნევენ შემდეგ დებულებებს:

• შეზღუდული შესაძლებლობა არის მხოლოდ ხილული (74.8%)

• შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, როგორც წესი, მუშაობა არ შეუძლიათ (66%)

• ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ინვალიდი“, „დაუნი“ და ა.შ. მისაღები სიტყვებია (81.9%)

• ყრუ ადამიანი უკეთ გაიგონებს, თუ ხმამაღლა დაელაპარაკები (73.5%)

• შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ყოველთვის ინტელექტუალურად ნაკლებად განვითარებულები არიან (61.4%)

დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ

გამოკითხვაში მონაწილეთა 43.8% მიუთითებს, რომ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ გავრცელებულია **ცრურწმენები**. იმ რესპონდენტების 49.1%, რომელთაც ასეთ ადამიანებთან უშუალო ურთიერთობის გამოცდილება აქვთ, ამ შეხედულებას იზიარებს.

რაც შეეხება გამოკითხულთა მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობის შეფასებას, უმრავლესობა (58.9%) აღნიშნავს, რომ საქართველოში ყოველი 100 ადამიანიდან 0-10-მდე ინდივიდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა. რესპონდენტთა მიერ დასახელებულ რიცხვებს შორის მოდა (Mode) არის 5.

რესპონდენტთა დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ აისახა ცალკეულ დებულებებზე მათი დათანხმების ხარისხში:

• რესპონდენტთა უმეტესობა (63.7%) მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები ნაკლებად მკაცრნი უნდა იყვნენ, სხვა მშობლებთან შედარებით.

• გამოკითხულთა 67.2%-ის აზრით, ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირებმა ისეთივე წარმატებას შეიძლება მიაღწიონ სწავლაში, როგორც საზოგადოების სხვა წევრებმა.

• მოსაზრებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ისეთივე

ბედნიერები შეიძლება იყვნენ, როგორც საზოგადოების სხვა წევრები, გამოკითხულთა 70% ეთანხმება.

• 70.5% მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს თანაბარი შესაძლებლობების მექანიზმები.

ამავდროულად, გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი არ ემხრობა დისკრიმინაციულ დებულებებს, კერძოდ:

• გამოკითხულთა 76.8% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს განათლების მიღება არ სჭირდებათ.

• 69.9% არ იზიარებს შეხედულებას, რომ უკეთესი იქნება, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იცხოვრებენ ცალკე, სპეციალურად მათთვის გამოყოფილ ადგილებში/დაწესებულებებში.

• რესპონდენტთა 61.9%-ის აზრით, არ იქნება უკეთესი, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იმუშავებენ ცალკე, მხოლოდ დაცულ სახელოსნოებში (სადაც მხოლოდ ასეთი პირები მუშაობენ).

• გამოკითხულთა 76.3% ეწინააღმდეგება დებულებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა საზოგადოებისთვის ტვირთია.

რამდენიმე დებულების შესახებ რესპონდენტთა შეხედულებები შეფასებებს შორის გაიყო, კერძოდ:

• რესპონდენტთა 43.1%-ის შეხედულებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ზრუნვა ხელისუფლების კეთილი ნებაა. ამ მოსაზრებას 40.1% არ ეთანხმება.

• დებულებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისას აუცილებელია სპეციალური ქცევის წესების დაცვა, რესპონდენტთა 37.5% ეთანხმება, 31.9% კი უარყოფს.

სხვადასხვა კონტექსტში რესპონდენტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ შემდეგი სახის დამოკიდებულებას ავლენენ:

• 53.6% ეთანხმება დებულებას, რომ საზოგადოებაში გადაჭარბებულ მზრუნველობას უნდა იჩენდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ.

• 46.4%-ის მოსაზრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების აყვანა სამსახურში არამომგებიანია, რამდენადაც ისინი სპეციალურ ინფრასტრუქტურას საჭიროებენ.

• 44.4% მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევა საქართველოში განსაკუთრებით პრობლემატურია.

აღსანიშნავია, რომ ყოველი მეორე გამოკითხულის (49.7%) აზრით, კარგად არ ესმის ისეთი საკითხები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევას უკავშირდება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ერთ სივრცეში ყოფნის მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულება შემდეგნაირად გადანაწილდა:

• გამოკითხულთა 67.3% მიუთითებს, რომ ტრანსპორტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ერთად თავს კომფორტულად/მეტ-ნაკლებად კომფორტულად იგრძნობდა/გრძნობს. თუმცა, როდესაც აქცენტი გადატანილია სხვებზე, ანუ რესპონდენტების აზრით, სხვა ინდივიდს რა დამოკიდებულება ექნებოდა მსგავს სიტუაციაში, პოზიტიურ პოზიციას რესპონდენტების 41.1% აფიქსირებს.

• რესპონდენტთა 63.8% აღნიშნავს, რომ სამსახურში თავს კომფორტულად/მეტ-

ნაკლებად კომფორტულად იგრძნობდა/ გრძნობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ერთად; თუმცა, რესპონ-დენტები ასე არ ფიქრობენ მაშინ, როდესაც საკითხი სხვების განწყობას ეხება (37.9%), ანუ როდესაც რესპონდენტებმა მსგავსი სიტუაცია სხვა ინდივიდების პერსპექტივიდან შეაფასეს.

რესპონდენტებმა შეაფასეს სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური სტატუსის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ მიმღებლობა. განსხვავებული შეზღუდვის შემთხვევაში მიღებული მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს პარლამენტის წევრი (დეპუტატი): რესპონდენტთა 45.2%-თვის მისაღებია, თუ დეპუტატს ექნება რაიმე სახის სენსორული შეზღუდვა. ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის შემთხვევაში მსგავს პოზიციას გამოკითხულთა 70% იზიარებს. რესპონდენტების 74.1%-თვის მიუღებელია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე დეპუტატი, ხოლო 65.7%-თვის - პარლამენტის წევრი ინტელექტუალური შეზღუდვით. იმ რესპონ-დენტების წილი, ვისთვისაც მიუღებელია, რომ საქართველოს პარლამენტის დეპუ-ტატს ჰქონდეს რაიმე სახის შეზღუდვა, განსხვავებულია შეზღუდვის ტიპების მიხედვით: ფიზიკური შეზღუდვის მქო-ნე დეპუტატი ყველაზე ნაკლებადაა მიუღებელი - 14.7%-თვის; სენსორული დარღვევის მქონე დეპუტატი მიუღებელია 32.9%-თვის; ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე დეპუტატი - 74.1%-თვის; ხოლო ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე დეპუტატი - 65.7%-თვის.

- კარის მეზობელი: რესპონდენტთა 77.8% მისაღებად მიიჩნევს სენსორული შეზღუდვის მქონე კარის მეზობლის ყოლას. იმავე პოზიციას აფიქსირებს გამოკითხულთა 79.8% ფიზიკური შესაძ-ლებლობის შეზღუდვასთან მიმართებით. ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზ-ღუდვის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 58.4%-ს უტოლდება. მსგავსი შეხედულება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან მიმართებით გაცილებით დაბალია - 39%. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კარის მეზობლის ყოლის მიუღებლობა ასევე დამოკიდებული აღმოჩნდა შეზღუდულობის ტიპზე: მეზობელი სენსორული შეზღუდვის მქონე მიუღებელია 6.5%-თვის; ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვით - 5.9%-თვის; ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე მეზობელი - 36.3%-თვის; ხოლო ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე მეზობელი - 19.2%-თვის.

რესპონდენტების უმრავლესობის შეფა-სებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქო-ნე პირის მიმართ დამამცირებელი ტერმი-ნების გამოყენება გარშემომყოფებისთვის მიუღებელი იქნებოდა: მაღაზიაში - 77.7%, სამეგობრო წრეში - 80.9%, სამსახურში - 79.9%, სპორტულ დარბაზში - 78.9%. იმ რესპონდენტების წილი, ვინც ფიქრობს, რომ უმრავლესობისთვის მისაღები იქნება სხვადასხვა გარემოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ დამამცირებელი ტერმინების გამოყენება, მერყეობს 5-7%-ის ფარგლებში.

როგორც რესპონდენტებმა მიუთითეს, თავს კომფორტულად იგრძნობდნენ, თუკი მათი თანამშრომელი სენსორული (68.4%), ინტელექტუალური (41.3%) ან ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირი (72.8%) იქნებოდა. უარყოფითი კონოტაციის შეფასებები დაფიქსირდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთან (46.6%) თანამშრომლობის კონტექსტში.

გამოკითხულთა უმეტესობის აზრით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, საზოგადოების სხვა წევრებთან შედარებით, სხვადასხვა სიტუაციაში უპირატესობით უნდა სარგებლობდნენ: რაიმე მომსახურების მისაღებად რიგში ყოფნისას - 89.3%, საავადმყოფოში ექიმის რიგში ლოდინის დროს - 90%, უფრო მეტი შეღავათისა და გაზრდილი

სოციალური პაკეტის მისაღებად - 92.5%. იმ გამოკითხულთა 90.8%, ვისაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ურთიერთობის გამოცდილება აქვს, მიუთითებს, რომ აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლები ექიმის რიგში ლოდინის დროს უპირატესობით უნდა სარგებლობდნენ.
რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუ-დვის მქონე სრულწლოვან პირსა (72%) და სენსორული შეზღუდვის მქონე პირს (57%), სურვილის შემთხვევაში, შვილის ყოლის უფლება უნდა ჰქონდეთ. მსგავსი პოზიციის მაჩვენებელი ინტელექტუალური შეზღუდვისა (36.3%) და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ინდივიდის (20.9%) მიმართ გაცილებით დაბალია. აღსანიშნავია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთი-ერთობის გამოცდილების რესპონდენტთა დამოკიდებულება - მათი აზრით, შვილის ყოლის უფლება არ უნდა ჰქონდეს ფსი-ქიკური ჯანმრთელობის პრობლე-მისა (52.9%) და ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ინდივიდს (39.5%).

გამოკითხულთა 39.4%-ის აზრით, ორსულმა ქალმა უმჯობესია მიიღოს გადაწყვეტილება ნაყოფის შენარჩუნების შესახებ, თუ შეიტყობს, რომ მას ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე შვილი ეყოლება. სქესის ჭრილში გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ მსგავს პოზიციას ქალების 41.8% და მამაკაცების 36.6% იზიარებს. რესპონდენტთა დაახლოებით 28% მიიჩნევს, რომ ორსულმა ქალმა ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ნაყოფი უნდა მოიშოროს.

რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიერ ზოგადი განათლების მიღებას, რესპონდენტების 42% მიიჩნევს, რომ მან ტიპური განვითარების ბავშვებთან ერთად უნდა ისწავლოს. ამ პოზიციას მეტი ადამიანი იზიარებს უმაღლეს განათლებასთან მიმართებით (50.2%). ტიპური განვითარებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ერთად სწავლას ეწინააღმდეგება ჯამში 51.3% (კერძოდ, 31.2% ემხრობა სპეციალიზირებულ სკოლაში სწავლას; 19.4% - ინტეგრირებულ კლასში სწავლას, ხოლო 0.7% - შინ სწავლას). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებული სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება

საქართველოში შეზღუდული შესაძლე-ბლობის მქონე პირთა საერთო მდგომა-რეობა გამოკითხულთა 32,5%-მა ნეიტ-რალურად შეაფასა, 31.6%-მა - დადებითად (აქედან, მხოლოდ 6.3% აფასებს ძალზე დადებითად), ხოლო ძალზე უარყოფითად - არაუმეტეს 6.4%-მა. თითოეულ რეგიონში 15%-ზე დაბალია იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებმაც ძალზე დადე-ბითად შეაფასეს შეზღუდული შესაძ-ლებლობის მქონე პირების საერთო მდგომარეობა. ისინი ყველაზე მოწყვ-ლადები აღმოჩნდნენ მცხეთა-მთიანეთის რეგიონსა და თბილისში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი საჭიროებები დიფერენცირდა სამ კატეგორიად. პირველი რიგის საჭი-როებად გამოკითხულთა 41.4% ასახელებს სამედიცინო დახმარებას. მეორე რიგის საჭიროებებს შორის რესპონდენტთა მეხუთედზე მეტი (22.5%) ასახელებს მედი-კამენტებით უზრუნველყოფის საკითხს. გამოკითხულთა 16.7% ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მატერიალური დახმარება მესამე რიგის საჭიროებაა. თბილისში რესპონდენტთა 45.6% ყველაზე მნიშვნე-ლოვან სერვისად (პირველი რიგის) ასახელებს სამედიცინო დახმარებას; გარდა აღნიშნულისა, დანარჩენი რეგიო-ნების წარმომადგენლებიც თვლიან, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამედიცინო დახმარება ყველაზე მთავარი - პირველი რიგის - საჭიროებაა.

საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლე-

ბლობის მქონე პირთა სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელისშემშლელ ფაქტორად რესპონდენტთა 57.8% ასახელებს სოციალურ გარემოს. ამ მოსაზრების მომხრე რესპონდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა თბილისში (73%), ყველაზე დაბალი კი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (38.5%). რესპონდენტთა საერთო რაოდენობიდან 33.4% ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციას ხელს უშლის მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა. რეგიონების მიხედვით, ამ შეფასებას ეთანხმება სამცხე-ჯავახეთის მხარეში გამოკითხული მოსახლეობის 46.8%, გურიის რესპონდენტების - 41.6%, დანარჩენ რეგიონებში კი პროცენტული მაჩვენებლები ვარირებს 23%-დან 38%-მდე. გამოკითხულთა 43.9% ფიქრობს, რომ განათლების მიღების თვალსაზრისით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და საზოგადოების სხვა წევრებს თანაბარი შესაძლებლობები აქვთ. 43.6%-ის აზრით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან და მათი შესაძლებლობები არათანაბარია. იმავე აზრზეა იმ რესპონდენტთა 44.1%, რომელთაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახლობელი. რესპონდენტების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რომლებიც საუბრობენ განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებზე, ფიქსირდება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (55.6%); ყველაზე დაბალი კი - მცხეთა-მთიანეთში (32.4%). რესპონდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს განათლების მიღების არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ, ფიქსირდება იმერეთში (56.8%).

დასაქმების შესაძლებლობების განხილვისას, გამოკითხულთა 63.8%-მა აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შრომის ბაზარზე არათანაბარი კონკურენციის პირობებში უწევთ თავის დამკვიდრება; მეოთხედზე ნაკლები (23.9%) კი ფიქრობს, რომ მათთვის დასაქმების შესაძლებლობები თანაბარია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დასაქმების არათანაბარ პირობებს ეთანხმება გამოკითხულთა 61.1%, რომლებსაც არ ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახლობელი და 66.2%, რომლებსაც ასეთი ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი ჰყავთ. თითოეულ რეგიონში გამოკითხულთა დიდი ნაწილის აზრით, დასაქმების შესაძლებლობები თანაბარია (რესპონდენტების რაოდენობა მერყეობს 50%-დან 75%-მდე).

რესპონდენტთა 61,9% ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს თანაბარი შესაძლებლობები აქვთ სამედიცინო მომსახურების მიღების თვალსაზრისით. ამ მოსაზრების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (73%) დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, ხოლო ყველაზე დაბალი - იმერეთში (36.6%). გამოკითხულთა საერთო რაოდენობის მეხუთედზე მეტი (26.2%) კი ფიქრობს, რომ ამ მომსახურების მიღების შესაძლებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და საზოგადოების სხვა წევრებისთვის განსხვავებულია. ამ იდეას იზიარებს იმერეთში გამოკითხული რესპონდენტების ნახევარზე მეტი (50.8%).

სახელმწიფო და კერძო სერვისების მიღების შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და საზოგადოების სხვა წევრებისთვის, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, თანაბარია. ამ პოზიციას სახელმწიფო სერვისების მიმართ იზიარებს გამოკითხულთა 56.1%, ხოლო კერძო სექტორის მიმართ - 53.3%; თბილისში სახელმწიფო სერვისების თანაბარ მისაწვდომობაზე საუბრობს გამოკითხულთა 72.3%, ხოლო 66.4%-ის აზრით, იგივე შეიძლება ითქვას კერძო სერვისებზეც.

რესპონდენტთა 70%-მა აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიურ განათლებას ყველა საფეხურზე - იქნება ეს ზოგადი, პროფესიული თუ უმაღლესი. გამოკითხულთა მეოთხედზე ნაკლები (23,8%) კი ფიქრობს, რომ სახელმწიფომ უნდა გახსნას მეტი სპეციალიზირებული საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განცალკევებით ისწავლიან. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გამოკითხული რესპონდენტების ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უმჯობესია სპეციალიზირებული საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნა, დანარჩენ რეგიონებში კი 70%-ზე მაღალია მათი წილი, ვინც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიურ განათლებას ემხრობა.

გამოკითხულთა 71.2% მხარს უჭერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობის გაზრდას ხელისუფლების ყველა დონეზე. რესპონდენტთა 15.2%-ის შეფასებით კი, ხელისუფლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოფნა უნდა იყოს ლიმიტირებული. მომხრე რესპონდენტთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა შიდა ქართლში (90.6%), ყველაზე დაბალი კი - იმერეთში (49.7%). მეორე მოსაზრების მომხრე რესპონდენტთა რაოდენობა თითოეულ რეგიონში 20%-ზე ნაკლებია.

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა - 85.1% - ამბობს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გარემოს ინფრასტრუქტურულ მოწყობაზე. 8.1% კი მიიჩნევს, რომ ეს არ უნდა იყოს ხელისუფლების პრიორიტეტი. პირველი დებულების მომხრე რესპონდენტების რაოდენობა 80%-ზე მაღალია, მიუხედავად იმისა, ჰყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახლობლები. თერთმეტივე რეგიონში გამოკითხულთა მინიმუმ 73%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს გარემოს ინფრასტრუქტურულ მოწყობაზე. მეორე დებულების მომხრე რესპონდენტთა რაოდენობა კი 20%-ზე დაბალია თითოეულ რეგიონში.

გამოკითხულთა 81.6% ფიქრობს, რომ სახელმწიფომ სოციალური დახმარება პირველ რიგში უნდა გაუზარდოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. 9.6% კი უსამართლობად მიიჩნევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სოციალური დახმარების გაზრდას სხვა სოციალურად დაუცველი ჯგუფების წარმომადგენლებზე ადრე.

გამოკითხულთა 87.2%-მა აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრირება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მოსაზრების მომხრე რესპონდენტების ყველაზე მაღალი რაოდენობა ფიქსირდება კახეთში - 97.1%, ყველაზე დაბალი კი სამცხე-ჯავახეთში - 75.9%. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას, ყველაზე მაღალია სამეგრელო-ზემო სვანეთში - 9.3%.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი (69.2%) ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საჯარო ადგილებში ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე პირველ რიგში პასუხისმგებელია საქართველოს ცენტრალური მთავრობა. თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალურ ინტეგრაციაზე პასუხისმგებელი აქტორების საერთო მაჩვენებლებს (პირველ, მეორე და მესამე რიგში პასუხისმგებელი სტრუქტურები) გავითვალისწინებთ, რესპონდენტები მთავარ პასუხისმგებლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციაზე აკისრებენ სამ აქტორს: 1. საქართველოს მთავრობა; 2. ადგილობრივი თვითმმართველობა და 3. რეგიონის ხელისუფლება.

გამოკითხულთა 61.1% ეთანხმება (აქედან 30.1% სრულად) საჯარო ორგანიზაციებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირთა დასაქმებაზე კვოტების დაწესებას. 10%-ზე დაბალია მათი რაოდენობა, ვინც არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. რესპონდენტთა 60.4% ეთანხმება (აქედან 28.7% სრულად) კერძო ორგანიზაციებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაზე კვოტების დაწესებას. ამ დებულებას არ დაეთანხმა რესპონდენტთა 10%-ზე ნაკლები.

გამოკითხულთა 34.1% სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ კერძო ორგანიზაციებს უნდა დაუწესდეთ საგადასახადო შეღავათები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების შემთხვევაში. 5.5% კი საერთოდ არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. შეღავათების დაწესების სრულად მომხრეთა 32.8%-ს არ ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი ან ნათესავი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი. ხოლო იმ რესპონდენტთაგან, ვისაც საახლობლოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ჰყავს, 35.4% სრულად ეთანხმება ამ აზრს.

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

გამოკითხვაში სულ მონაწილეობდა 5000 რესპონდენტი, მათგან 53.5% მდედრობითი, ხოლო 46.5% - მამრობით სქესის.

მონაცემთა დამუშავების ეტაპზე, ასაკის ცვლადი 6 კატეგორიად დაჯგუფდა, რომელთა შორისაც რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა: 24 წლამდე - გამოკითხულთა 12.4%; 24-34 წლის - 18.5%; 35-44 წლის - 16.8%; 45-54 წლის - 17.4%; 55-64 წლის - 15.6%, 65 და მეტი წლის - 19.3%.

რაც შეეხება ოჯახურ მდგომარეობას, კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა (59.4%) დაქორწინებულია, ხოლო 22.7% - დასაქორწინებელი. გამოკითხულთა 13.3% აღმოჩნდა ქვრივი, 4.2% - განქორწინებული, ხოლო მინიმალური მაჩვენებელი პარტნიორთან ერთად მცხოვრების კატეგორიაში დაფიქსირდა (0.3%).

განათლების დონის შეფასებით აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა უფრო დიდ ნაწილს (34.3%) სკოლის დასრულების დიპლომი აქვს, 17.8%-ს კი - სრული პროფესიული/ტექნიკური განათლება. აქვე აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 14.8%-ს ბაკალავრის ხარისხი აქვს მინიჭებული
(იხ. დიაგრამა #ა)

დიაგრამა #ა

განათლების მიღწეული დონე (N=5000)



დასაქმების სტატუსის კუთხით აღმოჩნდა, რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი (29.5%) უმუშევარია, ხოლო 26.3% - სამუშაო ძალის გარეთ მყოფი, ანუ ს ამუშაოს არამაძიებელი ადამიანი (პენსიონერი, სტუდენტი, უმუშევარი ქალი და ა.შ.). გამოკითხულთა 15.9%-მა მიუთითა, რომ დაქირავებულია კერძო სექტორში, ხოლო 11.5% - საჯარო სექტორში. რესპონდენტთა 7.4% სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა, 3.9% კი - ინდმეწარმეა. გამოკითხულთა მხოლოდ 2.7%-ია არაფორმალურ სექტორში დასაქმებული, რაც მინიმალური მაჩვენებელია. დანარჩენმა (2.8%) საკუთარი დასაქმების სტატუსი „სხვა“ კატეგორიას მიაკუთვნა.

შემდგომ ეტაპზე განისაზღვრა საქმიანობის სფერო, რომელშიც რესპონდენტები ამჟამად არიან დასაქმებულნი (შეკითხვა შეეხებოდა რესპონდენტებს დასაქმებულის სტატუსით; ასეთია სულ 44,2%). როგორც აღმოჩნდა, მათი უმეტესობა (მეოთხედზე მეტი - 29.0%) მომსახურების, ხოლო 18.2% - სოფლის მეურნეობის სფეროშია ჩართული. მინიმალური მაჩვენებლები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა (0.9%) და ვაჭრობის (0.9%) სფეროში გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 13.2%-მა საქმიანობის სფეროს დასახელებაზე უარი განაცხადა (იხ. დიაგრამა #ბ).

დიაგრამა #ბ

საქმიანობის სფერო, რომელშიც ამჟამად ხართ დასაქმებული (N=2230)



რესპონდენტების **ეთნიკური მიკუთვნებულობის** დასადგენად, პასუხების შეთავაზებულ სამ კატეგორიაში გამოკითხული ინდივიდები შემდეგნაირად გადანაწილდნენ: რესპონდენტების უმრავლესობა (91.8%) თავს ქართველთა ჯგუფს მიაკუთვნებს, 3.9% - სომხებს; 3% - აზერბაიჯანელებს. სხვა კატეგორიაში გამოკითხულთა მხოლოდ 1.3% გაერთიანდა.

შემდგომ ეტაპზე გაანალიზდა რესპონდენტთა ოჯახების **საშუალო თვიური შემოსავალი,** რომელიც მოიცავდა ყველა შემოსავალს, მათ შორის: ხელფასს, ნაღდი ფულით მიღებულ შემოსავალს, საჩუქრებს, ფულად გზავნილებს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს და ა.შ. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების უფრო დიდმა ნაწილმა (27.8%) თანხის დასახელებაზე უარი განაცხადა ან მიუთითა, რომ უჭირს პასუხის გაცემა. დაფიქსირებული პასუხები 8 კატეგორიად გაერთიანდა: გამოკითხულთა 24.3%-მა საკუთარი თვიური შემოსავალი 151-400 ლარის კატეგორიაში დაასახელა, ხოლო 17.3%-მა - 401-700 ლარის ინტერვალში. არსებული მონაცემების მიხედვით, რესპონდენტთა მინიმალური ოდენობის (0.7%) თვიური შემოსავალი ხვდება 2001-2500 ლარის კატეგორიაში (იხ. დიაგრამა #გ).

დიაგრამა #8

თქვენი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი (N=5000)



რესპონდენტთა ოჯახების **მატერიალური მდგომარეობის** შინაარსობრივი (ანუ რაც კონკრეტული რიცხვებით არ გამოიხატება) შეფასებააჩვენებს,რომრესპონდენტთა95% ძალიან დაბალიდან საშუალო შეფასების ველში მოექცა, რაც პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან დაბალი: შემოსავალი კვებაზეც არ გვყოფნის - 25%; დაბალი: შემოსავალი კვებაზე და ჩასაცმელზე ძლივს გვყოფნის - 30.3%; საშუალო: ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვახერხებთ - 39.9%. მხოლოდ 2.3%-ია, ვინც საკუთარი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას მაღალს (2.1%) ან ძალიან მაღალს (0.2%) უწოდებს. რესპონდენტების 2.6% კატეგორიაში „უარი პასუხზე/მიჭირს პასუხის გაცემა“ გაერთიანდა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ **რესპონდენტთა უმრავლესობა - 58.5% - პირადად იცნობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ერთ პირს მაინც:** თითქმის ყოველი მესამე რესპონდენტი (30.7%) პირადად იცნობს 1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, 21.7% - 2–3 პირს, ხოლო 6% - 4–ზე მეტს. რესპონდენტთა 40.5% არ იცნობს პირს, ვისაც შეზღუდული შესაძლებლობა აქვს.

გამოკითხულთა დაახლოებით 1/3–ს (30.5%) ჰყავს მეზობელი შეზღუდული შესაძლებლობით. **ოჯახების წილი შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე წევრით 5.6%.** უფრო მეტია იმათი რაოდენობა, ვისაც ნათესავი ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობით (18%). რესპონდენტთა 10.6% მიუთითებს, რომ მისი მეგობარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. გამოკითხვა აჩვენებს იმასაც, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 2.7%–ს ჰყავს თანამშრომელი შეზღუდული შესაძლებლობით (ეს იმის ინდიკატორია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წილი შრომის ბაზარზე ძალზე მცირეა).

რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვას, **თუ რა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ მათი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეზობლებს, თანამშრომლებსა და მეგობრებს.** გამოიკვეთა, რომ თითქმის ნახევარს აქვს ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვა (პროცენტული მაჩვენებლები

მერყეობს 42%–დან 48%–ის ფარგლებში). მეორე ადგილზეა სენსორული შეზღუდვის მქონე პირები (16–24%), მესამეზე - ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირები (14%–23%), ხოლო მეოთხეზე - ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები (10–15%). იხ.ცხრილი #2.

ცხრილი #2

	ოჯახის წევრი (%)	ნათესავი (%)	მეგობარი (%)	თანამშრომელი (%)	მეზობელი (%)
ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვა (ეტლით მოსარგებლე, მობილობაშეზღუდული და სხვა)	46.9	44.3	48.6	45.2	42.7
ინტელექტუალური შეზღუდვა (დაუნის სინდრომი და სხვა)	14.0	22.9	18.9	18.1	23.3
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები (დეპრესია, შიზოფრენია და სხვა)	10.1	9.8	6.0	5.8	14.7
სენსორული შეზღუდვა (ყრუ, სმენადაქვეითებული, უსინათლო, მცირემხედველი, სმენისა და მხედველობის ერთობლივი შეზღუდვის მქონე და სხვა)	22.2	19.7	23.6	22.4	16.3
უარი პასუხზე	3.8	0.6	1.5	5.9	0.6

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კონტაქტის სიხშირის კვლევამ აჩვენა, რომ იმ რესპონდენტებიდან, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს პირადად იცნობენ, მნიშვნელოვან რაოდენობას - 37.2%-ს საერთოდ არ აქვს კონტაქტი მათთან; ყოველდღიურ კონტაქტზე მიუთითებს 12%, კვირაში ერთხელ კონტაქტზე - 14.6%, თვეში ერთხელ მაინც - 11.7%, ყოველ 2-3 თვეში ერთხელ - 5.5%, ხოლო 16.2% - უფრო იშვიათად (იხ. დიაგრამა #დ).

დიაგრამა #დ

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან კონტაქტის სიხშირე (N=5000)



თავი პირველი:
ინფორმირებულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ

რესპონდენტთა საერთო რაოდენობა დაახლოებით ორ ნაწილად იყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ საკუთარი ინფორმირებულობის ხარისხის შეფასებისას: ერთი ნახევარი (47.5%) თვითკრიტიკულია და თავს უფრო არაინფორმირებულად, ან სრულიად არაინფორმირებულად მიიჩნევს; მეორე, ოდნავ დიდი ნახევარი (51.2%) საკუთარ ინფორმირებულობას პოზიტიურად (უფრო ინფორმირებულად ან სავსებით ინფორმირებულად) აფასებს (იხ. დიაგრამა #1).

დიაგრამა #1

რამდენად ინფორმირებული ხართ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებისა და საჭიროებების შესახებ? (N=5000)



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებსა და საჭიროებებზე საკუთარი ინფორმირებულობის დონის შეფასება სტატისტიკურად სანდო კორელაციაშია ისეთ მახასიათებლებთან, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან უშუალო ურთიერთობის გამოცდილება, რეგიონი, სქესი, ასაკი. კერძოდ:

- რესპონდენტთა უმრავლესობა (56.4%), რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის უშუალო გამოცდილება აქვთ, თავს ინფორმირებულად (უფრო ინფორმირებულად ან სავსებით ინფორმირებულად) მიიჩნევს. ასეთი გამოცდილების არმქონე პირთაგან საკუთარ თავს ინფორმირებულად უფრო

ნაკლები რაოდენობა - 45.6% მიიჩნევს, ხოლო ამავე ჯგუფის უმრავლესობა (53%) საკუთარ თავს არაინფორმირებულად თვლის.

- საკუთარი ინფორმირებულობის ხარისხს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ ყველაზე უფრო კრიტიკულად (არაინფორმირებულად ან უფრო არაინფორირებულად) აფასებენ სამცხე-ჯავახეთის (68.9%), სამეგრელო-ზემო სვანეთის (72.2%), მცხეთა-მთიანეთისა (56.4%) და თბილისის (53.4%) მაცხოვრებლები.

- მონაცემები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა განათლების ცენზი გავლენას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ ინფორმირებულობის თვითშეფასებაზე: უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების გამოკვეთილი უმრავლესობა (60.4%) ამბობს, რომ ინფორმირებულია (უფრო ან სავსებით), მაშინ, როდესაც არასრული საშუალო/საშუალო განათლების მქონეთა შორის ამას 43.7% აღნიშნავს.

- აღმოჩნდა, რომ მამაკაცები თავს უფრო არაინფორმირებულად (უფრო ან საერთოდ არაინფორმირებულად) მიიჩნევენ (52.5%), ვიდრე ქალები (43.2%).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ ინფორმაციის წყაროებს შორის ტელევიზია გამოირჩევა: პრაქტიკულად ყოველი მეორე გამოკითხული (48.2%) ამ წყაროს ასახელებს. მნიშვნელოვანია სოციალური ქსელების როლიც (22.4%). აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა დაახლოებით 15% ასახელებს ისეთ არაფორმალურ წყაროებს, როგორიცაა: ოჯახის წევრები და მეგობრები/ახლობლები (იხ. დიაგრამა #2)[3].

დიაგრამა #2

ინფორმაციის წყაროები შშმ პირების შესახებ (N=4146)



[3]შეკითხვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ ინფორმაციის წყაროების შესახებ არ უპასუხეს რესპონდენტებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საერთოდ არ არიან ინფორმირებულები

გამოკითხვა აჩვენებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ ინფორმაციის განახლება მეტ-ნაკლებად სწრაფად ხდება: რესპონდენტთა მეხუთედი (19.5%) აღნიშნავს, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მიიღო ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ხოლო მეოთხედი (25.4%) - ინფორმაციის მიღების ბოლო ვადად გასულ ერთ თვეს ასახელებს. მცირეა მათი რაოდენობა (9.3%), ვისაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ინფორმაცია ბოლო 6 თვეზე უფრო გვიან მიუღია[4] (იხ. დიაგრამა #3).

ლოგიკურია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან უშუალო კავშირში მყოფი რესპონდენტები უფრო სწრაფად იღებენ განახლებულ ინფორმაციას მათზე, ვიდრე ისინი, ვისაც ასეთ პირებთან ურთიერთობის გამოცდილება არ აქვთ. კერძოდ, პირველ ქვეჯგუფში ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ინფორმაციის მიღებას ადასტურებს 29.2%, ხოლო მეორე ქვეჯგუფში - 16.8%.

დიაგრამა #3

ბოლოს როდის მიიღეთ ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ? (N=4146)



მრავალფეროვანი აღმოჩნდა ის ინფორმაცია, რომელიც რესპონდენტებმა მიიღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე. კერძოდ, ეს ინფორმაცია, პირველ რიგში, ეხებოდა:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ მდგომარეობას/პრობლემებს - 28.5%
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევას - 22.6%
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სერვისების მიწოდებას - 13.6%
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოფა-ცხოვრებას - 12.2%
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიღწევებს - 9.3%

[4]შეკითხვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ინფორმაციის განახლების შესახებ არ პასუხობენ ის რესპონდენტები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საერთოდ არ არიან ინფორმირებულები.

- ღონისძიებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით - 6.9% და ა.შ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ინფორმირებულობის დონის სუბიექტური თვითშეფასების გარდა, კვლევა ითვალისწინებდა კითხვარში ე.წ. ტესტური შეკითხვების ჩართვას, რათა ობიექტურად შეფასებულიყო რესპონდენტთა ინფორმირებულობა. კერძოდ, რესპონდენტებს ჰკითხეს, თუ ვინ იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და შესთავაზეს შესაძლო პასუხთა ჩამონათვალი. მიწოდებულ ვარიანტებს შორის ზოგიერთი იყო სწორი, ხოლო ზოგიერთი - არასწორი პასუხი. გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტებმა ძირითადად სწორად უპასუხეს დასმულ შეკითხვას და ამოირჩიეს პასუხის ის ვარიანტები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის ადეკვატურია. კერძოდ, დასახელებულ შემთხვევათა უმრავლესობაში რესპონდენტებმა შეზღუდულ შესაძლებლობებს სწორად მიაკუთვნეს:

- ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ადამიანი, რომელიც ეტლით გადაადგილდება
- ყრუ პირი
- უსინათლო
- დაუნის სინდრომის მქონე პირი
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირი

ზემოთქმულისმიუხედავად,გამოკითხულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა არათანმიმდევრულ ინფორმირებულობას ამჟღავნებს. განსაკუთრებით ეს ეხება **აუტისტური სპექტრის** მქონე პირის შეფასებას. რესპონდენტთა უმრავლესობა (52.6%) აუტისტური სპექტრის მქონე **ნებისმიერ** პირს მცდარად მიაკუთვნებს შეზღუდული შესაძლებლობის კატეგორიას. ასევე, შემთხვევათა თითქმის მესამედში (31.6%) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად არასწორად ჩათვლილია სმენადაქვეითებული პირი, რომელიც საჭიროებს სასმენ აპარატს, შემთხვევათა 26.4%-ში - სმენის ნებისმიერი პრობლემის მქონე პირი, შემთხვევათა 26.5%-ში - მეტყველების ნებისმიერი სირთულის მქონე პირი, შემთხვევათა 24.6%-ში - გრძელვადიანი ქრონიკული დაავადებების მქონე პირი და ა.შ. (იხ. დიაგრამა #4).

დიაგრამა #4

თქვენი აზრით, ვინ არის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“? (N=5000)



გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა სწორად არის ინფორმირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისებურებების შესახებ და იცის, თუ რომელი დებულებებია სწორი ან არასწორი. კერძოდ, რესპონდენტები **არასწორად** თვლიან იმას, რომ:

- შეზღუდული შესაძლებლობა არის მხოლოდ ხილული (74.8%)
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, როგორც წესი, მუშაობა არ შეუძლიათ (66%)
- ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ინვალიდი“, „დაუნი“ და ა.შ. მისაღები სიტყვებია (81.9%)
- ყრუ ადამიანი უკეთ გაიგონებს, თუ ხმამაღლა დაელაპარაკები (73.5%)
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიყოველთვისინტელექტუალურად ნაკლებად განვითარებულები არიან (61.4%)

ასევე, რესპონდენტთა უმრავლესობა **სწორად** მიიჩნევს, რომ:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა ისეთივე წარმატებას შეიძლება მიაღწიოს ცხოვრებაში, როგორც სხვა წევრებმა (66.1%)
- პარალიმპიადა იმართება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (57.6%)
- შეზღუდული შესაძლებლობა ადამიანს უფრო დაუცველს ხდის ძალადობის წინაშე, საზოგადოების სხვა წევრებთან შედარებით (64.5%)

ერთადერთი დებულება, რომლის სისწორე/სიმცდარის მიმართ რესპონდენტთა მოსაზრებები გაიყო, შემდეგია: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დამოუკიდებლად ცხოვრება არ შეუძლიათ“ („სწორია“ – 43.8%; „არასწორია“ – 49.4%; „უარი პასუხზე“ – 0.3%; „მიჭირს პასუხის გაცემა“ – 6.5%). მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ მოცემული დებულება სიმართლეს არ შეესაბამება - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დამოუკიდებლად ცხოვრება შეუძლიათ. თუმცა, არსებული მონაცემებით, შესაძლოა დავუშვათ, რომ ამ კითხვაზე არასწორი პასუხისას (რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ინდივიდებს დამოუკიდებლად ცხოვრება არ შეუძლიათ) რესპონდენტები დაეყრდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მძიმე შემთხვევებს, რომლებიც პირებს დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალებას არ აძლევს. მეორე მხრივ, რესპონდენტთა ნაწილის ამგვარი დამოკიდებულება არაადეკვატურია, რადგან გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნებისმიერ პირს შეუძლია დამოუკიდებლად ცხოვრება სათანადო მხარდაჭერის (დამხმარე ტექნოლოგიები და საშუალებები, მისაწვდომი გარემო თუ სერვისები და სხვ.) არსებობის შემთხვევაში (იხ. დიაგრამა 5#).

დიაგრამა #5

შშმ პირების შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი? (N=5000)



შენიშვნა: დიაგრამაზე ღუჯი ფეხით აღნიშნულია ობიექტუხად სწორი დებულებები, ხოლო წითლით - ობიექტუხად ახასწორი დებულებები.

თავი მეორე: **დამოკიდებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ**

კითხვარის შემდეგი ბლოკი შეეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დამოკიდებულებებს, რომლებიც სხვადასხვა კონტექსტისა და შეხედულების საფუძველზე შეფასდა.

2.1. ცრურწმენები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ

თავდაპირველად გაანალიზდა ცრურწმენები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ.

შეკითხვაზე, თუ რამდენად გავრცელებულია საქართველოში ასეთი ცრურწმენები, რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი - დაახლოებით, მესამედი - პასუხობს, რომ უფრო გავრცელებულია, ვიდრე არა (31%). პროცენტული განაწილებით შემდგომ პოზიციას იკავებს პასუხი: „უფრო არ არის გავრცელებული, ვიდრე კი“ (24.2%). აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა მეხუთედზე მეტს (21.6%) უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. მათი შედარებით მცირე ნაწილი რომელიმე რადიკალური პასუხისკენ იხრება (ძალზე გავრცელებულია - 12.5%, საერთოდ არ არის გავრცელებული - 9.1%). ამდენად, რესპონდენტთა უმეტესობა შუალედურ შეფასებას აძლევს ცრურწმენების გავრცელების ინტენსივობას (იხ. დიაგრამა #6)

დიაგრამა #6

რამდენად გავრცელებულია საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ცრურწმენები (წინასწარგანწყობები/მცდარი მოლოდინები/სტერეოტიპები? (N=5000)



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ცრურწმენები (როგორც დამოკიდებული ცვლადი) სტატისტიკურად სანდო კორელაციაშია ისეთ ცვლადთან, როგორიცაა უშუალო ურთიერთობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან : რესპონდენტები, რომელთაც მსგავსი გამოცდილება აქვთ, მეტად აფიქსირებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ საქართველოში გავრცელებულია ცრურწმენები; კერძოდ, თითქმის ყოველი მეორე ცრურწმენების არსებობას ადასტურებს[5] (იხ. დიაგრამა #7).

დიაგრამა #7

რამდენად გავრცელებულია საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ცრურწმენები? (N=5000)



2.2. წარმოდგენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობის შესახებ

შემდეგი კითხვა ეხებოდა რესპონდენტების მიერ **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობის** შეფასებას შემდეგი ფორმულირებით: თქვენი აზრით, საქართველოში მცხოვრები ყოველი 100 ადამიანიდან რამდენია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი? რესპონდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, დაესახელებინათ რიცხვი 0-დან 100-ის ჩათვლით. როგორც აღმოჩნდა, მათ მიერ დასახელებულ რიცხვებს შორის მოდა (MODE) არის 5 (12.5%). ეს ნიშნავს, რომ რესპონდენტთა უმეტესობის მოსაზრებით, საქართველოში ყოველი 100 ადამიანიდან 5 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. ხაზგასასმელია, რომ რესპონდენტთა მეხუთედი (20.1%) თავს იკავებს პასუხისგან (იხ. დიაგრამა #8). თუ გავითვალისწინებთ, რომ ოფიციალური სტატისტიკით, 2015-17 წლებში, საქართველოში შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა წილი 3.5%-ია, **რესპონდენტთა წარმოდგენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რაოდენობაზე საქართველოში გადაჭარბებულია.**

დიაგრამა #8

საქართველოში მცხოვრები ყოველი 100 ადამიანიდან რამდენია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი? (N=5000)



2.3. დამოკიდებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ

რესპონდენტებს მიეწოდათ რამდენიმე დებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე; დებულებები ზომავდა რესპონდენტთა დამოკიდებულებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ. გამოკითხვის მონაწილეებს 5-ქულიან სკალაზე უნდა შეეფასებინათ, რამდენად ეთანხმებოდნენ ამ მოსაზრებებს, სადაც 1 აღნიშნავდა „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 5 – „სავსებით ვეთანხმები“:

ა) დებულებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები ნაკლებად მკაცრნი უნდა იყვნენ სხვა მშობლებთან შედარებით, რესპონდენტთა დიდი ნაწილი სავსებით ეთანხმება (44.9%). პროცენტულად შემდეგი ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხია „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ (18.8%). მაშასადამე, მოცემულ დებულებასთან მიმართებით, რესპონდენტთა უმრავლესობა იხრება თანხმობისკენ (ჯამში 63.7%). ამასთანავე, სკალის საშუალო მაჩვენებელი (MEAN)[6] არის 3.81, რაც ასევე ადასტურებს, რომ რესპონდენტები მეტწილად ეთანხმებიან

[6]საკითხი შეფასებულია 5-ქულიან სკალაზე, რომელზეც 1 უარყოფითი შინაარსის გამომხატველია, ხოლო 5 - დადებითის. ნეიტრალური დამოკიდებულება ფიქსირდება 3 ქულით (სკალის შუა პოზიცია), რომლის ქვემოთ (1 ქულისკენ) უარყოფითი კონოტაციის შეფასება ვლინდება, ხოლო ზემოთ (5 ქულისკენ) - დადებითი. საშუალო მაჩვენებელი გამოთვლილია პასუხის კატეგორიების, ქულების, საშუალო არითმეტიკულის დათვლის პრინციპით.

დებულებას. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას მხოლოდ მცირე ნაწილმა აარიდა თავი (2.3%), რაც მიუთითებს, რომ აღნიშნული საკითხის მიმართ რესპონდენტებს გამოკვეთილი დამოკიდებულება აქვთ. ეს მონაცემები აჩვენებს, რომ რესპონდენტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტებად მიიჩნევენ.

ბ) დებულებასთან მიმართებით, რომლის თანახმადაც, ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირებმა შეიძლება ისეთივე წარმატებას მიაღწიონ სწავლაში, როგორც საზოგადოების სხვა წევრებმა, შეინიშნება მზარდი ტენდენცია „სრულიად არ ვეთანხმებიდან“ „სავსებით ვეთანხმებისკენ“. ჯამში, რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (67.2%) ეთანხმება აღნიშნულ დებულებას (აქედან 46.8% - სავსებით). ამასთან, დათანხმების სკალის საშუალო მაჩვენებელი (MEAN)[7] არის 4, რაც ადასტურებს, რომ გამოკითხულთა პასუხები, ძირითადად, დადებითი შეფასების ველში ხვდება.

გ) რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციას, რესპონდენტთა მეოთხედზე მეტი (26.3%) კიდეც ეთანხმება და არც ეთანხმება, რომ ამისთვის თანმხლებ პირ(ებ)ს უნდა მივმართოთ, მეხუთედზე მეტი კი (21.6%) სრულიად არ ეთანხმება ამ დებულებას. თანხმობისაკენ, ჯამში, იხრება 32.7%. მონაცემებს შორის არ არის დიდი სხვაობა. შესაბამისად, აღნიშნულ დებულებაზე რესპონდენტთა მოსაზრებები გაფანტულია. დათანხმების სკალის საშუალო მაჩვენებელი (MEAN) არის 2.91, რაც ნიშნავს, რომ რესპონდენტთა შეფასებები არდათანხმების უარყოფით ველში იყრის თავს (MEAN<3-ზე). თუმცა, ეს საშუალო მაჩვენებელი ნეიტრალურ პუნქტთან (ქულა

3) ძალზე ახლოსაა, რაც უფრო მეტად რესპონდენტთა პოზიციების გაყოფაზე მიანიშნებს. მონაცემების მსგავსი გადანაწილების საფუძველზე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციისთვის საჭირო სრულყოფილი ცოდნა არ აქვთ.

დ) კვლევის მონაწილეთა თითქმის მეოთხედი (23.1%) სავსებით ეთანხმება მოსაზრებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა სიბრალულის სუბიექტია. ასევე, თანხმობისკენ იხრება რესპონდენტთა 20.7% („უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა“). 21% კიდეც ეთანხმება და არც ეთანხმება აღნიშნულ დებულებას. მაშასადამე, რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილის (43.8%) მოსაზრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა სიბრალულის ობიექტია; თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნული ტენდენცია სუსტად არის გამოხატული. ამას ადასტურებს ისიც, რომ სკალაზე გაზომილი საშუალო (MEAN) 3.15-ს უტოლდება.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნული საკითხი კორელაციაშია რესპონდენტთა რეგიონულ განაწილებასთან. კერძოდ, მცხეთა-მთიანეთში, გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში/ქვემო სვანეთში, სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, გამოკვეთილ უმრავლესობას შეადგენენ ის რესპონდენტები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სიბრალულის სუბიექტებად აღიქვამენ (იხ. დიაგრამა #9).

[7]საკითხი შეფასებულია 5-ქულიან სკალაზე, რომელზეც 1 უარყოფითი შინაარსის გამომხატველია, ხოლო 5 - დადებითის. ნეიტრალური დამოკიდებულება ფიქსირდება 3 ქულით (სკალის შუა პოზიცია), რომლის ქვემოთ (1 ქულისკენ) უარყოფითი კონოტაციის შეფასება ვლინდება, ხოლო ზემოთ (5 ქულისკენ) - დადებითი. საშუალო მაჩვენებელი გამოთვლილია პასუხის კატეგორიების, ქულების, საშუალო არითმეტიკულის დათვლის პრინციპით.

დიაგრამა #9

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა სიბრალულის ობიექტია (N=5000)



ე) რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი (44.9%) არ ეთანხმება დებულებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები მხოლოდ სპეციალურ სკოლებში უნდა სწავლობდნენ (აქედან თითქმის მესამედი - 31.3% - სრულიად არ ეთანხმება). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სპეციალურ სკოლებში სწავლას მხარს უჭერს 37.6%. ამასთან, 17.5% შეადგინა პასუხმა „კიდეც ვეთანხმები და არც ვეთანხმები“.

მოცემულ დებულებაზე პასუხების რეგიონების ჭრილში განხილვის შედეგად გაირკვა: დებულებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები მხოლოდ სპეციალურ დაწესებულებაში უნდა სწავლობდნენ, არ ეთანხმება თბილისში, აჭარასა და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა, რაც მათ სხვა რეგიონებისგან გამოარჩევს. საპირისპირო პასუხების („სავსებით ვეთანხმები“ და „უფრო ვეთანხმები“) მაჩვენებელი ყველაზე მაღალია გურიაში (49.1%)[8] (იხ. დიაგრამა #10).

[8]მონაცემები რეგიონულ ჭრილში სტატისტიკურად მნიშვნელოვანია: x2(60)=769.565; p<0.01

დიაგრამა #10

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები მხოლოდ სპეციალურ სკოლებში უნდა სწავლობდნენ (N=5000)



ვ) გამოკითხულთა უმრავლესობა (62.7%) სრულიად არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს განათლება არ სჭირდებათ. ასევე დებულების უარყოფისკენ იხრება 14.1% და ამბობს, რომ უფრო არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება მას.

ზ) რესპონდენტთა უმრავლესობა, 56.3%, სრულიად არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ უკეთესი იქნება, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იცხოვრებენ ცალკე. დამატებით, ამ დებულების მიმართ უარყოფითად განწყობილია 13.6% („უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“).

თ) მოსაზრებები კვლავ იყოფა, როდესაც საუბარია ხელისუფლების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ზრუნვის შესახებ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ზრუნვა ხელისუფლების კეთილი ნებაა). რესპონდენტთა ერთი ნაწილი (40.1%) არ ეთანხმება (მათგან 29.9% სრულიად არ ეთანხმება) ამ მოსაზრებას, ხოლო მეორე ნაწილი - 43.1% - ეთანხმება (მათგან 27.9% სავსებით ეთანხმება). როგორც ჩანს, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ აცნობიერებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ინდივიდებზე ზრუნვა ხელისუფლების ვალდებულებაა და არა კეთილი ნება.

მოცემულ დებულებაზე პასუხების განხილვისას განათლების დონის ჭრილში, გამოიკვეთა, რომ უმაღლესი განათლების (არასრული/სრული) მქონე რესპონდენტებს შორის პროცენტულად ყველაზე მეტია იმ ადამიანთა რაოდენობა (36.6%), რომლებიც სრულიად არ ეთანხმებიან, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ზრუნვა ხელისუფლების კეთილი ნებაა. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია (24.2%) არასრული საშუალო ან საშუალო განათლების მქონე პირებს შორის[9] (იხ. დიაგრამა#11).

[9]განათლების ჭრილში მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია: $x2(12)=95.312$. $p<0.01$

დიაგრამა #11

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ზრუნვა ხელისუფლების კეთილი ნებაა - განათლების დონის ჭრილში (N=5000)



ი) მომდევნო დებულებას - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები სოციალურად უფრო მეტად დაუცველნი არიან, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კაცები - რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი (40.1%) არ ეთანხმება (მათგან 26.9% სრულიად არ ეთანხმება); დებულებას ეთანხმება რესპონდენტთა მეოთხედი (25.2%); დაახლოებით ამდენივე ნეიტრალურ პოზიციას იჭერს („კიდეც ვეთანხმები და არც ვეთანხმები“).

კ) რესპონდენტთა უმრავლესობა უარყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განცალკევების ვერსიას სამუშაო ადგილებზე. დებულებას - უკეთესი იქნება, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იმუშავებენ ცალკე - სრულიად არ ეთანხმება რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (47.5%), ხოლო 14.9% უფრო არ ეთანხმება, ვიდრე კი.

ლ) დებულებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საერთოდ არ უნდა მუშაობდნენ, სრულიად არ ეთანხმება რესპონდენტთა უმრავლესობა (58.3%).

მ) ამასთან, გამოკვეთილი უმრავლესობა (62.2%) სრულიად არ ეთანხმება დებულებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა საზოგადოებისთვის ტვირთია.

ნ) განსხვავებულად შეფასდა მოსაზრება: უნდა დაიცვან თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა იგივე მოთხოვნები, რაც საზოგადოების სხვა წევრებმა. პასუხები ძირითადად თავს იყრის საპირისპირო პოზიციებზე: 24.8% ამ დებულებას სავსებით ეთანხმება, ხოლო 22.3% სრულიად არ ეთანხმება.

ო) რესპონდენტთა პასუხები ერთმნიშვნელოვნად თანხმობისკენ იხრება შემდეგ დებულებასთან მიმართებით: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეიძლება ისეთივე ბედნიერები იყვნენ, როგორიც საზოგადოების სხვა წევრები (49.7% სავსებით ეთანხმება, ხოლო 20.3% უფრო ეთანხმება, ვიდრე არა).

პ) რესპონდენტებს შორის არ არსებობს მყარი თანხმობა საკითხზე, თუ რას უნდა ველოდეთ შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირებისგან: უფრო დიდი ნაწილი (38.6%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ნაკლები მოლოდინები უნდა გვქონდეს, სხვა ადამიანებთან შედარებით. აღნიშნულ მოსაზრებას, დაახლოებით, მესამედი (31.4%) იზიარებს.

ჟ) გამოკითხულთა დიდი ნაწილი (41.7%) არ ეთანხმება დებულებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მარტო უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს, ვიდრე საზოგადოებაში. ამ მოსაზრებას რესპონდენტთა, დაახლოებით, მეოთხედი იზიარებს (24.1%). დამატებით, თითქმის მეხუთედს (22.6%) გამოკვეთილი მოსაზრება არ აქვს აღნიშნულ დებულებაზე და პასუხობს, რომ კიდეც ეთანხმება და არც ეთანხმება მას.

რ) აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი ეთანხმება დებულებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფრო ადვილად ღიზიანდებიან, ვიდრე სხვა ადამიანები: მეოთხედი (24.9%) ამ აზრს სავსებით ეთანხმება, ხოლო 20% უფრო ეთანხმება, ვიდრე არა. საპირისპირო პოზიციაზეა გამოკითხულთა 23%.

ს) გამოკვეთილი მხარდაჭერა ერგო მოსაზრებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევა, ნამდვილი გმირია: რესპონდენტთა 45.2% სავსებით ეთანხმება ამ დებულებას; ასევე თანხმობისკენ იხრება 20.5% („უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა“).

ტ) მოსახლეობის გამოკვეთილი უმრავლესობა (70.5%) იზიარებს დებულებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მექანიზმი. რესპონდენტთა ნახევარი (50.2%) სავსებით ეთანხმება დებულებას, ხოლო 20.3% უფრო ეთანხმება, ვიდრე არა.

უ) რესპონდენტთა შეხედულებები დებულებაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისას აუცილებელია სპეციალური ქცევის წესების დაცვა, გაიფანტა: 37.2% თანხმობისკენ იხრება (სავსებით ან უფრო ეთანხმება); დაახლოებით, მესამედი (32%) - საპირისპირო პოზიციაზეა; თითქმის მეოთხედი კი (23.9%) შუალედური პოზიციას ირჩევს (კიდეც ეთანხმებიან და არც ეთანხმებიან).

ფ) გამოკითხულთა უმრავლესობა (56.2%) არ იზიარებს მოსაზრებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხშირად გვაცოდებენ თავს. მომხრეთა რიცხვი გაცილებით მცირეა - 17.3%; დაახლოებით, მეხუთედი (19.6%) კი შუალედურ პოზიციას იკავებს - კიდეც ეთანხმება და არც ეთანხმება დებულებას.

ქ) რესპონდენტთა უმრავლესობა - 61.4% ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფრო კეთილები და გულისხმიერები არიან (ამ დებულებას 36.9% სავსებით ეთანხმება, ხოლო 24.5% - უფრო ეთანხმება, ვიდრე არა); გამოკითხულთა მეხუთედი (21.5%) კონკრეტული პოზიციისკენ არ იხრება და კიდეც ეთანხმება მას და არც ეთანხმება. უმცირესობაში მოხვდნენ (11.5%) ამ მოსაზრების მიმართ უარყოფითად განწყობილი რესპონდენტები.

სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლებიც აღწერს ზემოაღნიშნულ დამოკიდებულებებს, მოცემულია ცხრილში #1:

ცხრილი #1

N=5000	სრულიად არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	კიდეც ვეთანხმები და არც ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე/მიჭირს პასუხის გაცემა
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები ნაკლებად მკაცრნი უნდა იყვნენ, სხვა მშობლებთან შედარებით	10.1%	9.3%	14.6%	18.8%	44.9%	2.2%
შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე პირებმა შეიძლება ისეთივე წარმატებას მიაღწიონ სწავლაში, როგორსაც საზოგადოების სხვა წევრებმა	4.7%	7.9%	17.1%	20.4%	46.8%	3.1%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციისას უმჯობესია, მათ თანმხლებ პირ(ებ)ს მივმართოთ	21.6%	14.6%	26.3%	16.7%	16%	4.8%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა სიბრალულის ობიექტია	19.7%	12.7%	21%	20.7%	23.1%	2.9%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები მხოლოდ სპეციალურ სკოლებში უნდა სწავლობდნენ	31.3%	13.6%	17.5%	12.8%	20.2%	4.6%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს განათლება არ სჭირდებათ	62.7%	14.1%	10%	4.6%	5.9%	2.7%
უკეთესი იქნება, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იცხოვრებენ ცალკე, სპეციალურად მათთვის გამოყოფილ ადგილებში/ დაწესებულებებში	56.3%	13.6%	13.8%	6.1%	6%	4.2%

N=5000	სრულიად არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	კიდეც ვეთანხმები და არც ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე/მიჭირს პასუხის გაცემა
უკეთესი იქნება, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იმუშავებენ ცალკე, მხოლოდ დაცულ სახელოსნოებში (სადაც მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მუშაობენ)	47.5%	14%	15.9%	8.3%	9.8%	4.6%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საერთოდ არ უნდა მუშაობდნენ	58.3%	14.9%	13.2%	4.9%	5.8%	2.9%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა ტვირთია საზოგადოებისთვის	62.2%	14.1%	11.5%	4.5%	3.3%	4.4%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ მოეთხოვებათ იმავე მოთხოვნების დაცვა, რაც საზოგადოების სხვა წევრებს (მაგ.: რიგში დგომა, სხვადასხვა გადასახადის გადახდა და სხვა)	22.3%	13.6%	19.9%	14.9%	24.8%	4.5%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეიძლება ისეთივე ბედნიერები იყვნენ, როგორიც საზოგადოების სხვა წევრები	5.7%	7.4%	14%	20.3%	49.7%	2.9%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ზრუნვა ხელისუფლების კეთილი ნებაა	29.9%	10.2%	13.7%	15.2%	27.9%	3%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები სოციალურად უფრო მეტად დაუცველნი არიან, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კაცები	26.9%	13.1%	22.8%	11.3%	13.9%	12%

N=5000	სრულიად არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	კიდეც ვეთანხმები და არც ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	სავსებით ვეთანხმები	უარი პასუხზე/მიჭირს პასუხის გაცემა
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ნაკლები მოლოდინები უნდა გვქონდეს, სხვა ადამიანებთან შედარებით	23%	15.5%	23.1%	16.1%	15.3%	7%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მარტო უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს, ვიდრე საზოგადოებაში	27%	14.7%	22.6%	12.9%	11.2%	11.7%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფრო ადვილად ღიზიანდებიან, ვიდრე სხვა ადამიანები	12.3%	10.7%	23.5%	20%	24.9%	8.6%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევა, ნამდვილი გმირია	6.7%	7.7%	15.5%	20.5%	45.2%	4.4%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს თანასწორი შესაძლებლობების მექანიზმები	4%	6.1%	14.6%	20.3%	50.2%	4.7%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისას აუცილებელია სპეციალური ქცევის წესების დაცვა	19.3%	12.6%	23.9%	17.5%	20%	6.7%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხშირად გვაცოდებენ თავს	38.8%	17.4%	19.6%	10.2%	7.1%	7%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფრო კეთილები და გულისხმიერები არიან	3.5%	8%	21.5%	24.5%	36.9%	5.6%

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ რესპონდენტების დამოკიდებულების შესასწავლად, მათ კვლავ წარედგინათ რამდენიმე დებულება. ამჯერად 5-ქულიან სკალაზე შეფასების მაგივრად, გამოკითხვის მონაწილეებს უნდა დაეფიქსირებინათ „დიახ“ ან „არა“ პასუხები.

გამოკითხვა ასეთ შედეგებს აჩვენებს:

- რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (53.6%) ეთანხმება დებულებას, რომ საზოგადოებაში გადაჭარბებულ მზრუნველობას უნდა იჩენდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ.

- რესპონდენტთა დიდი ნაწილის - 46.4%-ის მოსაზრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების აყვანა სამსახურში არამომგებიანია, რადგან ისინი სპეციალურ ინფრასტრუქტურას საჭიროებენ.

- გამოკითხულთა შორის მხოლოდ 14.5% მუშაობს/უმუშავია პოზიციაზე, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერას. რესპონდენტთა უმრავლესობა - 79.8% - უარყოფით პასუხს სცემს ამ კითხვას.

- ყოველი მეორე გამოკითხული (49.7%) ამბობს, რომ კარგად არ ესმის საკითხები, რომლებიც უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევას. თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვანია ის წილიც, რომელიც საწინააღმდეგო პასუხს იძლევა (37%).
- რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილის (44.4%) აზრით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევა განსაკუთრებული პრობლემაა საქართველოში. ასე არ ფიქრობს მათი მესამედი (33.55%).

გამოკითხვის შედეგები დეტალურად იხ. დიაგრამაზე #12.

დიაგრამა #12

გთხოვთ, უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს; გამოიყენეთ „დიახ“ და „არა“ პასუხები (N=5000)



გამოკითხვა აჩვენებს სანდო სტატისტიკურ **კორელაციას** ორ ცვლადს შორის: 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა (დამოკიდებული ცვლადი); და 2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შემხებლობა/ურთიერთობის გამოცდილება (დამოუკიდებელი ცვლადი). კერძოდ, რესპონდენტები, რომელთაც ჰქონიათ რაიმე ტიპის შეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, მეტად პასუხობენ (44.5%), რომ ესმით მათი უფლებების დარღვევის საკითხები. იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (56.5%), რომლებსაც არ აქვთ ასეთ პირებთან ურთიერთობის გამოცდილება, ამბობს, რომ კარგად არ ესმის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საკითხები[10]
(იხ. დიაგრამა #13).

დიაგრამა #13

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა (N=5000)



ასევე სტატისტიკურად სანდოა კორელაცია შემდეგ ორ ცვლადს შორის: 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა (დამოკიდებული ცვლადი); და 2. რესპონდენტის სქესი (დამოუკიდებელი ცვლადი). კერძოდ, მდედრობითი სქესის რესპონდენტები,მამაკაცებთანშედარებით, უფრო ინფორმირებულად მიიჩნევენ თავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევის საკითხებზე
(იხ. დიაგრამა #14).

[10]კორელაცია სტატისტიკურად მნიშვნელოვანია: $x2(3)=143.760$, $p<0.01$

დიაგრამა #14

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა (N=5000)



2.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ერთ სივრცეში ყოფნა

რესპონდენტებს ჰკითხეს, თუ როგორ გრძნობენ ან იგრძნობდნენ თავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ერთ სივრცეში მოხვედრისას სხვადასხვა ვითარებაში. მათ საკუთარი განწყობები 5-ქულიან სკალაზე შეაფასეს, სადაც 5 ქულა „ძალზე დადებით“ განწყობას აღნიშნავს, ხოლო 1 ქულა – „ძალზე უარყოფითს“.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ერთ სივრცეში ყოფნის მიმართ (სხვადასხვა სიტუაციაში) გულგრილი არ არის. პირიქით, დიდი ნაწილი აცხადებს, რომ თავს კომფორტულად იგრძნობდა. მეორე მხრივ, როდესაც რესპონდენტები არა საკუთარ, არამედ სხვების (საზოგადოების წევრების) განწყობებზე საუბრობენ (ანუ გამოკითხვაში პროექციული ტექნიკა ერთვება), დადებითი განწყობის ტონუსი მნიშვნელოვნად ქვეითდება. საკუთარი თავისა და სხვების ასეთი გამიჯვნა გვაფიქრებინებს, რომ რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი სოციალურად სასურველი ადამიანის როლს თამაშობს; კერძოდ, შეკითხვაზე იმ პასუხს აფიქსირებს, რასაც მისგან საზოგადოება მოელის. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ რესპონდენტთა პოზიცია ნაკლებად გულწრფელია.

უფრო კონკრეტულად, გამოკითხვის მონაცემები ასეთია:

- რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (67.6%) აღნიშნავს, რომ თავს კომფორტულად ან მეტ-ნაკლებად კომფორტულად გრძნობენ/იგრძნობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ერთად სუფრასთან. მეორე მხრივ, როდესაც ანალოგიურ სიტუციაში სხვებზე (მესამე პირებზე) საუბრობენ, კომფორტული განწყობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად იკლებს და 42%-მდე მცირდება.

- გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (67.3%) ასევე პასუხობს, რომ ტრანსპორტში თავს კომფორტულად/მეტ-ნაკლებად კომფორტულად იგრძნობდა/გრძნობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ერთად. თუმცა, როდესაც აქცენტი გადატანილია

სხვებზე, დადებითი კონოტაციის შეფასებების ხვედრითი წილი იკლებს 41.1.%-მდე.

- მსგავსი ტენდენცია აღინიშნება სამსახურის შემთხვევაშიც: რესპონდენტთა უმრავლესობა (63.8%) ამბობს, რომ სამსახურში თავს კომფორტულად/მეტ-ნაკლებად კომფორტულად იგრძნობდა/გრძნობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ერთად; თუმცა, ისინი ასე არ ფიქრობენ, როდესაც საკითხი სხვების განწყობას ეხება (37.9%).

- ტენდენცია ნარჩუნდება მაშინაც, როდესაც კითხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ერთად სამოგზაუროდ წასვლას ეხება: რესპონდენტთა 61.7% ადასტურებს, რომ ამ სიტუაციაში თავს კომფორტულად/მეტ-ნაკლებად კომფორტულად გრძნობს/იგრძნობდა; თუმცა, ასეთივე ენთუზიაზმით არ ფიქრობენ, რომ სხვებსაც კომფორტული განწყობა ექნებათ (35.8%).

ზემოაღნიშნული მონაცემები აჩვენებს, რომ რესპონდენტები რამდენადმე უფრო ტოლერანტულები არიან, როცა საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობას ისეთ სივრცეებში, რომლებიც არ მოითხოვს ხანგრძლივ კომუნიკაციასა და ერთად ყოფნას (ასეთია სუფრა და ტრანსპორტი, სამსახურისა და მოგზაურობისგან განსხვავებით).

როგორც საკუთარი, ისე სხვების განწყობის შეფასების შედეგები მოცემულია დიაგრამებზე #15-16.

დიაგრამა #15

როგორ გრძნობთ ან იგრძნობთ თავს, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ერთ სივრცეში მოხვდით/მოხვდებით... (N=5000)



დიაგრამა #16

თქვენი დაკვირვებით, როგორ გრძნობენ ადამიანები თავს, როდესაც ერთ სივრცეში იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან? (N=5000)



აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სიტუაციაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ერთად ყოფნის საკითხი სტატისტიკურად სანდო კორელაციაში აღმოჩნდა ისეთ სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებთან, როგორიცაა რესპონდენტთა განათლების დონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შემხებლობა:

ა) შეთავაზებულ გარემოებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ერთ სივრცეში ყოფნისას დისკომფორტის განცდას ყველაზე იშვიათად ასახელებენ არასრული/სრული უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები. ეს ეხება ორივე პასუხს: „არაკომფორტულად ვგრძნობ/ვიგრძნობ თავს“ და „უფრო არაკომფორტულად ვგრძნობ/ვიგრძნობ თავს“ (იხ. ცხრილი #2):

ცხრილი #2

N=5000 როგორ გრძნობთ ან იგრძნობთ თავს, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ერთ სივრცეში მოხვდით/მოხვდებით სხვადასხვა ვითარებაში?		განათლების მიღწეული დონე			სტატისტიკური მნიშვნელობა
		არასრული საშუალო / საშუალო განათლება	პროფესიული განათლება	არასრული / სრული უმაღლესი განათლება	
სუფრასთან	თავს ვგრძნობ/ ვიგრძნობ არაკომფორტულად/ უფრო არაკომფორტულად, ვიდრე კომფორტულად	5.8%	3.7%	2.6%	$x^2(12)=45.595$; $p<0.01$
ტრანსპორტში	თავს ვგრძნობ/ ვიგრძნობ არაკომფორტულად/ უფრო არაკომფორტულად, ვიდრე კომფორტულად	6.4%	4.1%	2.6	$x^2(12)=52.947$; $p<0.01$
სამსახურში	თავს ვგრძნობ/ ვიგრძნობ არაკომფორტულად/ უფრო არაკომფორტულად, ვიდრე კომფორტულად	7.5%	5.8%	3.8%	$x^2(12)=58.517$; $p<0.01$
სამოგზაუროდ	თავს ვგრძნობ/ ვიგრძნობ არაკომფორტულად/ უფრო არაკომფორტულად, ვიდრე კომფორტულად	9.6%	8.1%	5.8%	$x^2(12)=47.130$; $p<0.01$

ბ) როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტები, რომელთაც საკუთარ გარემოში რაიმე სახის შეხება აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, მეტად ასახელებენ, რომ თავს კომფორტულად იგრძნობდნენ სხვადასხვა ვითარებაში ასეთ პირებთან ერთად (მონაცემები ამ შემთხვევაშიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია) (იხ. ცხრილი #3):

ცხრილი #3

N=5000 როგორ გრძნობთ ან იგრძნობთ თავს, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ერთ სივრცეში მოხვდით/მოხვდებით სხვადასხვა ვითარებაში?		გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი / თანამშრომელი/მეზობელი?		სტატისტიკური მნიშვნელობა
		არა	დიახ	
სუფრასთან	თავს ვგრძნობ/ვიგრძნობ კომფორტულად/მეტ-ნაკლებად კომფორტულად	64.4%	70.7%	$x^2(12)=45.595$; $p<0.01$
ტრანსპორტში	თავს ვგრძნობ/ვიგრძნობ კომფორტულად/მეტ-ნაკლებად კომფორტულად	63.9%	70.5%	$x^2 12)=52.947$; $p<0.01$
სამსახურში	თავს ვგრძნობ/ვიგრძნობ კომფორტულად/მეტ-ნაკლებად კომფორტულად	60.6%	66.8%	$x^2(12)=58.517$; $p<0.01$
სამოგზაუროდ	თავს ვგრძნობ/ვიგრძნობ კომფორტულად/მეტ-ნაკლებად კომფორტულად	58.3%	64.9%	$x^2(12)=47.130$; $p<0.01$

2.5. სხვადასხვა სტატუსის ადამიანთა მიმღებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის როლში

რესპონდენტებმა გამოხატეს საკუთარი მიმღებლობა სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური სტატუსის ადამიანთა მიმართ, თუკი ისინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გახდებიან. კერძოდ, მათ შეაფასეს პარლამენტარები, კარის მეზობლები, ასევე, საკუთარი შვილის ან ოჯახის წევრის/ნათესავის ბავშვის თანაკლასელები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების როლში. შეფასებისთვის რესპონდენტებმა გამოიყენეს 5-ქულიანი სკალა, სადაც 1 ნიშნავს „სავსებით მისაღები იქნება“, ხოლო 5 – „სრულიად მიუღებელი იქნება“.
გამოკითხვამ ასეთი შედეგები აჩვენა:

2.5.1. საქართველოს პარლამენტის წევრ რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის (45.2%) მისაღებია (სავსებით მისაღები ან უფრო მისაღები) დეპუტატი რაიმე სახის სენსორული შეზღუდვით (მცირემხედველი/უსინათლო, ან სმენადაქვეითებული/ყრუ); დეპუტატის მიმართ მიმღებლობა გაცილებით იზრდება შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის შემთხვევაში (70% აღნიშნავს, რომ სავსებით მისაღები, ან უფრო მისაღები იქნებოდა).

რესპონდენტთა განწყობები დიამეტრულად იცვლება, როდესაც საკითხი ეხება დეპუტატის მიმღებლობას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის დროს, ან ინტელექტუალური შეზღუდვისას: რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა ორივე შემთხვევაში აცხადებს, რომ ასეთი დეპუტატი მათთვის მიუღებელი იქნება (კერძოდ, 74.1%-თვის მიუღებელია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე დეპუტატი, ხოლო 65.7%-თვის - ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე დეპუტატი) (იხ. დიაგრამა #17).

დიაგრამა #17

როგორი იქნება თქვები დამოკიდებულება, თუ საქართველოს პარლამენტის წევრს (დეპუტატს) ექნება... (%) (N=5000)



აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა შეზღუდვის მქონე დეპუტატის მიმღებლობაზე (როგორც დამოკიდებულ ცვლადზე) გავლენას ახდენს ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა რესპონდენტთა განათლების დონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შემხებლობა:

- ოთხიკომპონენტიდან სამში (ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გარდა) მიმღებლობას ყველაზე დიდი წილი უმაღლესი განათლების მქონე (არასრული/სრული) კატეგორიაში აქვს (ეს მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია) (იხ. ცხრილი #4).
- მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ შეზღუდვასთან მიმართებით საერთო ტენდენცია არ იცვლება (რესპონდენტები დეპუტატის პოზიციაზე მისაღებად აფასებენ ფიზიკური და სენსორული ტიპის შეზღუდვებს, თუმცა ნაკლებად მოიაზრებენ ფსიქიკური და გონებრივი შეზღუდვის მქონე პირს), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შემხებლობაში მყოფი რესპონდენტები უფრო მეტად მიესალმებიან რაიმე ტიპის შეზღუდვის მქონე პირის პარლამენტის წევრობას (იხ. ცხრილი #5).

ცხრილი #4

N=5000 როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება, თუ საქართველოს პარლამენტის წევრს (დეპუტატს) ექნება...		განათლების მიღწეული დონე			სტატისტიკური მნიშვნელობა
		არასრული საშუალო / საშუალო განათლება	პროფესიული განათლება	არასრული / სრული უმაღლესი განათლება	
სენსორული შეზღუდვა	სავსებით მისაღები/უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	41.4%	44.1%	50.7%	$x^2(12)=53.935$; $p<0.01$
ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვა	სავსებით მისაღები/უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	63.8%	73%	75.9%	$x^2(12)=113,759$; $p<0.01$
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები	სავსებით მისაღები/უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	11%	11%	10.6%	$x^2(12)=24,15$; $p=0.016$
ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვა	სავსებით მისაღები/უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	73.6%	79.3%	82.2%	$x^2(12)=58.610$; $p<0.01$

ცხრილი #5

N=5000 როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება, თუ საქართველოს პარლამენტის წევრს (დეპუტატს) ექნება...		გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/ თანამშრომელი/მეზობელი?		სტატისტიკური მნიშვნელობა
		არა	დიახ	
სენსორული შეზღუდვა	სავსებით მისაღები/ უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	42.5%	47.8%	$x^2(12)=53.935$; $p<0.01$
ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვა	სავსებით მისაღები/ უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	65.1%	74.7%	$x^2(12)=113,759$; $p<0.01$
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები	სავსებით მისაღები/ უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	10.8%	10.9%	$x^2(12)=24,15$; $p=0.016$
ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვა	სავსებით მისაღები/ უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	16.3%	16%	$x^2(12)=58.610$; $p<0.01$

2.5.2. რესპონდენტთა დამოკიდებულება რამდენადმე უფრო მიმღებლური ხდება, როდესაც კითხვა ეხება მათი კარის მეზობლის რაიმე ტიპის შესაძლებლობის შეზღუდვას.

სენსორული შეზღუდვის მქონე კარის მეზობელთან მიმართებით, რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (77.8%) ამბობს, რომ ეს ფაქტი სავსებით ან უფრო მისაღები იქნებოდა. ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვისადმი მათი დამოკიდებულება ასევე დადებითია (79.8% მიმღებლობას გამოხატავს).

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შემთხვევაში, დამოკიდებულებები იცვლება წინა სიტუაციებთან შედარებით: რესპონდენტთა პოზიციები იყოფა - ერთი ნაწილისთვის (39%) ასეთი პრობლემების მქონე კარის მეზობელი მისაღებია, ხოლო მეორე ნაწილისთვის (36.3%) - არა.

როცა საკითხი ეხება ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე კარის მეზობელს, რესპონდენტთა უმრავლესობა (58.4%) კვლავ მიმღებლობას გამოხატავს (იხ. დიაგრამა #18).

დიაგრამა #18

როგორი დამოკიდებულება გექნებათ, თუ თქვენი კარის მეზობელს ექნება... (%) (N=5000)



- მოცემული დამოკიდებული ცვლადი (სხვადასხვა შეზღუდვის მქონე კარის მეზობლის მიმღებლობა) ასევე კორელაციურად უკავშირდება რესპონდენტთა განათლების დონესა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შემხებლობას:
- უმაღლესი განათლების (არასრული/სრული) მქონე პირები უფრო მეტ მიმღებლობას იჩენენ ამ გარემოების მიმართ, ვიდრე რესპონდენტები სხვაგვარი განათლების ფონით.
- უფრო მაღალ მიმღებლობას კვლავ ის რესპონდენტები იჩენენ, რომელთაც თავად აქვთ შეხება/კონტაქტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან.

ორივე შემთხვევაში მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია
(იხ. ცხრილები ##6, 7):

ცხრილი #6

N=5000 როგორი დამოკიდებულება გექნებათ, თუ თქვენი კარის მეზობელს ექნება...		განათლების მიღწეული დონე			სტატისტიკური მნიშვნელობა
		არასრული საშუალო / საშუალო განათლება	პროფესიული განათლება	არასრული / სრული უმაღლესი განათლება	
სენსორული შეზღუდვა	სავსებით მისაღები/უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	36.8%	40.3%	41.1%	$x^2(12)=58.610$; $p<0.01$
ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვა	სავსებით მისაღები/უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	53.6%	59.8%	63.5%	$x^2(12)=55.168$, $p<0.01$
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები	სავსებით მისაღები/უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	72.3%	76%	79.4%	$x^2(12)=21.452$; $p=0.044$
ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვა	სავსებით მისაღები/უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	53.6%	59.8%	63.5%	$x^2(12)=53.706$; $p<0.01$

ცხრილი #7

N=5000 როგორი დამოკიდებულება გექნებათ, თუ თქვენი კარის მეზობელს ექნება...		გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/ თანამშრომელი/მეზობელი?		სტატისტიკური მნიშვნელობა
		არა	დიახ	
სენსორული შეზღუდვა	სავსებით მისაღები/ უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	74.8%	80.5%	$x^2(6) = 61.025$; $p<0.01$
ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვა	სავსებით მისაღები/ უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	76%	83.3%	$x^2(6) = 81.305$; $p<0.01$
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები	სავსებით მისაღები/ უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	37.3%	40.7%	$x^2(6) = 39.247$; $p<0.01$
ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვა	სავსებით მისაღები/ უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	55.6%	61.1%	$x^2(6) = 71.658$; $p<0.01$

2.5.3. როგორც უკვე აღინიშნა, რესპონდენტებს ვთხოვეთ, შეეფასებინათ საკუთარი დამოკიდებულება, თუ შეზღუდული შესაძლებლობის პირი იქნებოდა მათი შვილის, ან ოჯახის წევრის/ნათესავის ბავშვის თანაკლასელი.
სენსორული შეზღუდვის მქონე ბავშვის შემთხვევაში, რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (75.5%) გამოხატავს დადებით დამოკიდებულებას: 43%-თვის ეს სიტუაცია სავსებით მისაღებია, 32.5%-თვის კი - უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი.

კიდევ უფრო მაღალია რესპონდენტთა მიმღებლობა ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ბავშვის (როგორც მათი შვილის ან ოჯახის წევრის/ნათესავის ბავშვის თანაკლასელის) მიმართ. რესპონდენტთა თითქმის ნახევრისთვის (48.6%) მსგავსი სიტუაცია სავსებით მისაღებია, ხოლო 31.3%-თვის - უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე თანაკლასელი ბავშვის მიმართ დამოკიდებულება კვლავ განსხვავებულია და ძირითადად უარყოფით კონტექსტში ექცევა. რესპონდენტთა 24.1% მიიჩნევს, რომ სრულიად მიუღებელია ასეთი ბავშვი იყოს მათი შვილის ან ოჯახის წევრის/ნათესავის ბავშვის თანაკლასელი, 23.6%-თვის კი უფრო მიუღებელია, ვიდრე მისაღები.
ი
ნტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ბავშვის „თანაკლასელის კონტექსტში“ განხილვისას, დამოკიდებულებები მეტწილად დადებით შეფასებებში იყრის თავს: გამოკითხულთა 26.7%-თვის მსგავსი სიტუცია უფრო მისაღები იქნება, ვიდრე მიუღებელი, ხოლო 24.5%-თვის - სავსებით მისაღები
(იხ. დიაგრამა #19).

დიაგრამა #19

როგორი დამოკიდებულება გექნებათ, თუ თქვენი ან ოჯახის წევრის/ნათესავის შვილის თანაკლასელს ექნება... (%) (N=5000)



მოცემული ცვლადი, ტრადიციულად, დადებით კორელაციაში აღმოჩნდა ისეთ საკითხთან, როგორიცაა რესპონდენტთა განათლების დონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შემხებლობა:

უმაღლესი განათლების (არასრული/სრული) მქონე პირები მეტ მიმღებლობას იჩენენ ზემოაღწერილი გარემოების მიმართ, ვიდრე სხვა განათლების დონის მქონე რესპონდენტები.
საკუთარი/ნათესავის შვილის თანაკლასელის (თუ ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იქნება) მიმართ მეტ მიმღებლობას კვლავ ის რესპონდენტები იჩენენ, რომელთაც უკვე აქვთ რაიმე ტიპის შეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან.

აღწერილი მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (იხ. ცხრილები ##8, 9):

ცხრილი #8

N=5000 როგორი დამოკიდებულება გექნებათ, თუ თქვენი ან ოჯახის წევრის/ ნათესავის შვილის თანაკლასელს ექნება...		განათლების მიღწეული დონე			სტატისტიკური მნიშვნელობა
		არასრული საშუალო / საშუალო განათლება	პროფესიული განათლება	არასრული / სრული უმაღლესი განათლება	
სენსორული შეზღუდვა	სავსებით მისაღები/უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	72.3%	76%	79.4%	$x^2(12)=44.654$; $p<0.01$
ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვა	სავსებით მისაღები/უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	75.9%	81.3%	84%	$x^2(12)=64.297$; $p<0.01$
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები	სავსებით მისაღები/უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	28.9%	29.3%	33.2%	$x^2(12)=27.276$; $p=0.07$
ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვა	სავსებით მისაღები/უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	48%	49.4%	56.2%	$x^2(12)=40.459$; $p<0.01$

ცხრილი #9

N=5000 თუ თქვენი, ან ოჯახის წევრის/ნათესავის შვილის თანაკლასელს ექნება...		გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/ თანამშრომელი/მეზობელი?		სტატისტიკური მნიშვნელობა
		არა	დიახ	
სენსორული შეზღუდვა	სავსებით მისაღები/ უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	73.1%	77.8%	$x^2(6)=57.367$; $p<0.01$
ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვა	სავსებით მისაღები/ უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	77%	82.6%	$x^2(6)=70.811$; $p<0.01$
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები	სავსებით მისაღები/ უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	30%	30.9%	$x^2(6)=49.986$; $p<0.01$
ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვა	სავსებით მისაღები/ უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი	48.2%	54%	$x^2(6)=82.175$; $p<0.01$

2.6. საზოგადოების (სოციალური გარემოს) რეაქციის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამცირებაზე

რესპონდენტებმა შეაფასეს, **მათი აზრით, როგორი იქნება გარშემომყოფთა (საზოგადოების წევრთა) დამოკიდებულება, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ვინმე სხვადასხვა ადგილას დამამცირებელი ტერმინებით მოიხსენიებს.** რესპონდენტებმა საკუთარი მოსაზრება 5-ქულიან სკალაზე დააფიქსირეს, სადაც 1 არის „უმრავლესობისთვის მისაღები იქნება", ხოლო 5 – „უმრავლესობისთვის მიუღებელი იქნება."

გამოკითხვა აჩვენებს, რომ **რესპონდენტთა მოსაზრებით, საზოგადოებას უარყოფითი რეაქცია ექნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამცირებაზე პრაქტიკულად ყველა ემპირიულ სიტუაციაში, მაღაზიაში იქნება ეს, სამეგობრო წრეში, სამსახურში, თუ სპორტულ დარბაზში.**

კერძოდ, გამოკითხვის შედეგები ასეთია: რესპონდენტთა 50.5% მიიჩნევს, რომ მაღაზიაში მსგავსი სიტუაციის შემსწრე ადამიანთა უმრავლესობისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამამცირებელი ტერმინით მოხსენიება მიუღებელი იქნება; 27.2%-ის აზრით, მსგავსი გარემოება უფრო მიუღებელი იქნება ვიდრე მისაღები.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (54.8%) ფიქრობს, რომ სამეგობროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამამცირებელი ტერმინით მოხსენიება უმრავლესობისთვის მიუღებელი იქნება; რესპონდენტთა მნიშვნელოვანი წილის, მეოთხედის (26.1%) მოსაზრებით კი ეს გარშემომყოფთა უმრავლესობისთვის უფრო მიუღებელი იქნება, ვიდრე მისაღები.

თითქმის იდენტური შედეგები დაფიქსირდა სამსახურში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამამცირებელი ტერმინით მოხსენიების კატეგორიაშიც: რესპონდენტთა ნახევარზე მეტის (53.3%) შეფასებით, მსგავსი გარემოება უმრავლესობისთვის მიუღებელი იქნება, ხოლო მეოთხედზე მეტი (26.6%) ასეთ ვითარებას 5-ქულიან სკალაზე 4 ქულით აფასებს („უფრო მიუღებელი იქნება ვიდრე მისაღები").

სპორტულ დარბაზში დამამცირებელი ტერმინოლოგიის გამოყენებაზე შეფასებები არ იცვლება: რესპონდენტთა აზრით, გარშემომყოფთა დამოკიდებულებები უარყოფითი იქნება: კერძოდ, 52.1% მიიჩნევს, რომ უმრავლესობისთვის სრულიად მიუღებელი იქნება, ხოლო 26.8%-ის წარმოდგენით, უფრო მიუღებელი იქნება, ვიდრე მისაღები.

დეტალურად გამოკითხვის შედეგები იხ. დიაგრამაზე #20.

დიაგრამა #20

როგორი იქნება გარშემომყოფთა დამოკიდებულება, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს დამამცირებელი ტერმინებით მოიხსენიებს ვინმე სხვადასხვა ადგილას, კერძოდ... (N=5000)



2.7. მიმღებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თანამშრომლის მიმართ

შემდგომ ეტაპზე გაანალიზდა რესპონდენტთა შეხედულება, რამდენად კომფორტულად იგრძნობდნენ თავს, თუკი მათი თანამშრომელი იქნებოდა სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირი. შეფასება განხორციელდა 5-ქულიან სკალაზე, სადაც 5 ქულა აღნიშნავს მაქსიმალურად დადებით განწყობას, ხოლო 1 ქულა – მაქსიმალურად უარყოფითს.[12]

კვლევის შედეგები ასეთია:

- გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (68.4%) სენსორული შეზღუდვის მქონე პირთან ერთად მუშაობის შემთხვევაში თავს იგრძნობდა კომფორტულად, ან უფრო კომფორტულად;

- მსგავსი შეხედულება დაფიქსირდა ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ინდივიდის შემთხვევაშიც, რამაც რესპონდენტთა 72.8% შეადგინა;

- აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მოსაზრებები დიამეტრულად იცვლება, როდესაც საქმე ეხება ფსიქიკური შესაძლებლობის შეზღუდვას: გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი (46.5%) ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ინდივიდთან მუშაობისას თავს არაკომფორტულად ან უფრო არაკომფორტულად იგრძნობდა;

- ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთან ერთად მუშაობა რესპონდენტთა უფრო დიდ ნაწილს (41.3%) მეტ-ნაკლებად კომფორტულად მიაჩნია, თუმცა, მნიშვნელოვანია იმათი წილიც (28.2%), ვინც აცხადებს, რომ ასეთ პირთან თანამშრომლობა დისკომფორტს შეუქმნიდა.

დეტალურად, გამოკითხვის შედეგები მოცემულია დიაგრამაზე #21.

[12]შინაარსობრივად, მოცემული სკალის ქულები შემდეგნაირად გამოიყურება: 1.არაკომფორტულად; 2. უფრო არაკომფორტულად, ვიდრე კომფორტულად; 3. არც კომფორტულად და არც არაკომფორტულად; 4. უფრო კომფორტულად, ვიდრე არაკომფორტულად; 5. კომფორტულად.

დიაგრამა #21

რამდენად კომფორტულად იგრძნობდით თავს, თუ თქვენი თანამშრომელი იქნებოდა... (N=5000)



რამდენად კომფორტულად იგრძნობდით თავს, თუ თქვენს თანამშრომელს ექნებოდა... (N=5000)



რესპონდენტთა ზემოაღნიშნულ განწყობებს კარგად გამოხატავს ცენტრალური ტენდენციის საზომები - მოდა,[13] მედიანა[14] და საშუალო მაჩვენებლები[15]
(იხ. ცხრილი #10):

- სენსორული და ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის შემთხვევაში, ყველაზე ხშირად დასახელებული (MODE) ციფრია 5 („კომფორტულად"); საშუალო მაჩვენებლები (MEAN) ხვდება დადებითი შეფასების ველში (MEAN>3-ზე); ხოლო მედიანა (Median) ტოლია 5-ის, რაც ნიშნავს, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი იყენებს შეფასების სკალის მაქსიმალურ პუნქტს - 5 ქულას.
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შემთხვევაში, ყველაზე ხშირად დასახელებული (MODE) ციფრია 1 („არაკომფორტულად"); ასევე, საშუალო მაჩვენებლები (MEAN) ხვდება უარყოფითი შეფასების ველში (MEAN<3-ზე).
- ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის შემთხვევაში, ყველაზე ხშირად დასახელებული (MODE) ციფრია 3 („არც კომფორტულად და არც არაკომფორტულად"); ასევე, საშუალო მაჩვენებლები (MEAN), მართალია ხვდება დადებითი შეფასების ველში (MEAN>3-ზე), თუმცა ძალზე ახლოსაა შეფასების ნეიტრალურ პუნქტთან (ქულა 3).

ცხრილი #10

რამდენად კომფორტულად იგრძნობდით თავს, თუ თქვენი თანამშრომელი იქნებოდა...	**Mean**	**Median**	**Mode**	**Std. Deviation**
სენსორული შეზღუდვის მქონე პირი	4,08	4,00	5	1,074
ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირი	4,20	5,00	5	1,021
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირი	2,63	3,00	1	1,409
ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირი	3,24	3,00	3	1,391

[13]მოდა არის განაწილებაში ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხი, ამ შემთხვევაში, 5-ქულიან სკალაზე ყველაზე ხშირი პასუხის კატეგორია.
[14]მედიანა არის ზრდის მიხედვით დალაგებული პასუხების (განაწილების) შუა პოზიციაზე მყოფი მონაცემი, რომლის ზემოთ და ქვემოთ მოცემულია ერთი და იმავე რაოდენობის შემთხვევები.
[15]საკითხი შეფასებულია 5-ქულიან სკალაზე, რომელზეც 1 უარყოფითი შინაარსის გამომხატველია, ხოლო 5 - დადებითის. ნეიტრალური დამოკიდებულება ფიქსირდება 3 ქულით (სკალის შუა პოზიცია), რომლის ქვემოთ (1 ქულისკენ) უარყოფითი კონოტაციის შეფასება ვლინდება, ხოლო ზემოთ (5 ქულისკენ) - დადებითი. საშუალო მაჩვენებელი გამოთვლილია პასუხის კატეგორიების, ქულების, საშუალო არითმეტიკულის დათვლის პრინციპით.

2.8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და უპირატესობები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი დამოკიდებულებების ჭრილში, გაანალიზდა რესპონდენტთა შეხედულება **სხვადასხვა სიტუაციაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უპირატესობის მინიჭებაზე.** რესპონდენტებს შესთავაზეს სამი დებულება, რომლებიც დიქოტომიური პასუხების (დიახ/არა) სახით იყო წარმოდგენილი.

კერძოდ, რესპონდენტებმა უპასუხეს შემდეგ შეკითხვას: **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა სარგებლობდნენ თუ არა უპირატესობით საზოგადოების სხვა წევრებთან შედარებით** შემდეგ სიტუაციებში:

- რაიმე მომსახურების მისაღებად რიგში ყოფნისას;
- საავადმყოფოში ექიმის რიგში ლოდინის დროს;
- უფრო მეტი შეღავათისა და გაზრდილი სოციალური პაკეტის მისაღებად.

როგორც აღმოჩნდა, თითოეული დებულების შემთხვევაში, რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უპირატესობით უნდა სარგებლობდნენ. დებულებების მიხედვით, იმ გამოკითხულთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებმაც დადებითი პასუხი გასცეს, შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. დიაგრამა #22):

- რაიმე მომსახურების მისაღებად რიგში ყოფნისას - 89.3%;
- საავადმყოფოში ექიმის რიგში ლოდინის დროს - 90%;
- უფრო მეტი შეღავათისა და გაზრდილი სოციალური პაკეტის მისაღებად - 92.5%.

დიაგრამა #22

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა სარგებლობდნენ თუ არა უპირატესობებით საზოგადოების სხვა წევრებთან შედარებით ზოგიერთ ვითარებაში? (N=5000)



გამოკითხვის შემდგომ ეტაპზე შეფასდა რესპონდენტთა მოსაზრებები **სხვადასხვა შეზღუდვის მქონე სრულწლოვანი პირის მიერ შვილის ყოლის უფლებაზე.** მათ ამ საკითხის გასაანალიზებლადაც დებულებები შესთავაზეს.

შესაფასებლად გამოიყო ოთხი სხვადასხვა შეზღუდვა: ფიზიკური, ინტელექტუალური და სენსორული შეზღუდვა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა. კვლევის შედეგები ასეთია:

რესპონდენტთა გამოკვეთილმა უმრავ-ლესობამ (86%) მიუთითა, რომ ფიზიკური შეზღუდვის მქონე სრულწლოვან პირს, სურვილისამებრ, უნდა ჰქონდეს შვილის ყოლის უფლება. დადებითი პასუხი დაფიქსირდა სენსორული შეზღუდვის მქონე პირის შემთხვევაშიც, რამაც პროცენტულად გამოკითხულთა 73.7% შეადგინა. დანარჩენი ორი შეზღუდვის მიმართ განსხვავებული შედეგი გამოვლინდა: გამოკითხულთა ნახევარზე მეტი - 52.2% - არ ეთანხმება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირისთვის შვილის ყოლის უფლების მინიჭებას. რაც შეეხება ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვას, აქ რესპონ-დენტთა მოსაზრებები გაიყო: ნაწილი ეთანხმება, რომ ინტელექტუალური შესაძ-ლებლობის შეზღუდვის მქონე პირს უნდა ჰქონდეს შვილის ყოლის უფლება (36,3%), ხოლო მეორე ნაწილი (38.4%) ამის წინააღმდეგია (იხ. დიაგრამა #23).

დიაგრამა #23

სურვილის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს თუ არა შვილის ყოლის უფლება... (N=5000)



კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ რაც უფრო იზრდება რესპონდენტთა **განათლების დონე,** მით უფრო მატულობს მათი რწმენა, რომ სენსორული შეზღუდვის მქონე პირს, სურვილის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს შვილის ყოლის უფლება. განათლების მიღწეული დონეების მიხედვით, დადებითი პასუხის პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანა-წილდა: არასრული საშუალო/საშუალო განათლება - 52.4%; პროფესიული განათლება - 56.4%; არასრული/სრული უმაღლესი განათლება - 63.1%.[16]

კორელაციური ანალიზი აჩვენებს შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ შვილის ყოლის უფლების სტატისტიკურად სანდო კავშირს სხვა ცვლადთან, რომელიც აღწერს რესპონდენტთა **შემხებლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან.** კერძოდ, რესპონდენტები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან უშუალო შეხება აქვთ, უფრო მეტად ეთანხმებიან მოსაზრებას,

[16]მონაცემები განათლების ჭრილში სტატისტიკურად სანდოა: $x^2(6)=51.217$, $p<0.01$

რომ სხვადასხვა ტიპის შეზღუდვის მქონე პირებს შვილის ყოლის უფლება უნდა ჰქონდეთ. გამონაკლისია მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირი (იხ. ცხრილი #11):

ცხრილი #11

N=5000 **როგორია თქვენი დამოკიდებულება, თუ თქვენი, ან ოჯახის წევრის/ნათესავის შვილის თანაკლასელი გახდება**		**გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/ მეგობარი/თანამშრომელი/ მეზობელი?**		**სტატისტიკური მნიშვნელობა**
		არა, არ მყავს	**დიახ, მყავს**	
ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე სრულწლოვან პირს, სურვილის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს შვილის ყოლის უფლება	ვეთანხმები	68%	75.8%	$x^2(3)=50.294$; $p<0.01$
	არ ვეთანხმები	12.8%	10.7%	
	უარი პასუხზე/ მიჭირს პასუხის გაცემა	19.2%	13.5%	
ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის (გონებრივი განვითარების შეფერხების) მქონე სრულწლოვან პირს, სურვილის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს შვილის ყოლის უფლება	ვეთანხმები	35.2%	37.3%	$x^2(3)=25.333$; $p<0.01$
	არ ვეთანხმები	37.1%	39.5%	
	უარი პასუხზე/ მიჭირს პასუხის გაცემა	27.7%	23.1%	
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სრულწლოვან პირს, სურვილის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს შვილის ყოლის უფლება	ვეთანხმები	19.7%	21.9%	$x^2(3)=13.081$; $p=0.04$
	არ ვეთანხმები	51.5%	52.9%	
	უარი პასუხზე/ მიჭირს პასუხის გაცემა	28.8%	25.1%	
სენსორული შეზღუდვის მქონე სრულწლოვან პირს, სურვილის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს შვილის ყოლის უფლება	ვეთანხმები	52.8%	60.9%	$x^2(3)=40.876$; $p<0.01$
	არ ვეთანხმები	21.6%	19.1%	
	უარი პასუხზე/ მიჭირს პასუხის გაცემა	25.5%	19.9%	

კვლევის შემდგომ ეტაპზე გაანალიზდა **რესპონდენტთა თანხმობა ორ ალტერნატიულ დებულებაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს ორსული ქალი, რომელიც შეიტყობს, რომ ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე შვილი ეყოლება:** პირველი დებულების თანახმად, მსგავს სიტუაციაში უმჯობესია, თუ ინდივიდი ნაყოფის მოცილებას გადაწყვეტს; ხოლო მეორე დებულება ნაყოფის შენარჩუნებას უკავშირდებოდა.

როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა 28%-ს გაუჭირდა დებულებებს შორის ამორჩევა, თუმცა უფრო დიდი ნაწილი (39.4%) მეორე მოსაზრებას მიემხრო. საინტერესოა ისიც, რომ მეოთხედზე მეტია რესპონდენტთა წილი, რომლებმაც ნაყოფის მოცილებას დაუჭირეს მხარი (27.8%) (იხ. დიაგრამა #24).

დიაგრამა #24

რომელ დებულებას ეთანხმებით? (N=5000)



სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნული საკითხი კორელაციაშია რესპონდენტთა **სქესთან** (დამოუკიდებელი ცვლადი): მამაკაცებთან შედარებით (36.6%), ქალები (41.8%) უფრო მეტად ემხრობიან იმას, რომ ორსულმა ქალმა, რომელსაც ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე შვილი ეყოლება, ნაყოფი შეინარჩუნოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ უფრო მეტ მამაკაცს (29.6%) უჭირს ამ დებულებებს შორის სასურველის ამორჩევა, ვიდრე ქალს (24.5%).[17]

ეს საკითხი ასევე კორელაციაშია ცვლადთან, რომელიც აღწერს რესპონდენტთა **შემხებლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან:** იმ რესპონდენტთა 43.4%-ის შეფასებით, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის უშუალო გამოცდილება აქვთ, უმჯობესია, ორსულმა ქალმა ნაყოფი შეინარჩუნოს; მეორე მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შემხებლობის არმქონე რესპონდენტებში ამ დებულებას უფრო ნაკლები რაოდენობა - 35.1% - იზიარებს.[18]

[17]სქესის ჭრილში მონაცემების განხილვა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია: $x^2(4)=37.039$, $p<0.01$
[18]არსებული მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $x^2(4)=37.039$), $p<0.01$)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დამოკიდებულებების შესწავლის ბლოკის ბოლოს, რესპონდენტებმა შეაფასეს **დებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიერ ზოგადი განათლების მიღებაზე.** როგორც აღმოჩნდა, არსებული ჩამონათვალიდან რესპონდენტები ყველაზე მეტად მხარს უჭერენ შემდეგ დებულებას: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა უნდა ისწავლოს ტიპური განვითარების ბავშვებთან ერთად". აღნიშნულ მოსაზრებას გამოკითხულთა 42% ეთანხმება; **ხოლო 31.2%-ის შეხედულებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა სპეციალიზებულ სკოლაში უნდა ისწავლოს. გასათვალისწინებელია ყოველი მეხუთე რესპონდენტის მოსაზრებაც, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა ინტეგრირებულ კლასში მიიღოს განათლება (იხ. დიაგრამა #25)**

დიაგრამა #25

ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებები შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიერ ზოგადი განათლების მიღებას. თქვენ რომელს ეთანხმებით? (N=5000)



აღნიშნული საკითხი გაანალიზდა რესპონდენტთა განათლების დონის ჭრილში. როგორც აღმოჩნდა, მიღწეული განათლების თითოეულ კატეგორიაში დაჯგუფებულ ინდივიდთა დიდი ნაწილის აზრით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა ტიპური განვითარების ბავშვებთან ერთად უნდა ისწავლოს. თუმცა, რაც უფრო იზრდება რესპონდენტთა განთლების დონე, მით უფრო მატულობს მხარდაჭერა იმ აზრის მიმართ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა ტიპური განვითარების ბავშვებთან ერთად უნდა ისწავლოს: არასრული საშუალო/საშუალო განათლება - გამოკითხულთა 37.1%, პროფესიული განათლება - 39%, არასრული/სრული უმაღლესი განათლება - 50.2%[19] (იხ. დიაგრამა #26).

[19]მონაცემები კორელაციის შესახებ სტატისტიკურად სანდოა: $x^2(10)=92.713$, $p<0.01$

ᲓᲘᲐᲒᲠᲐᲛᲐ #26

ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებები შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიერ ზოგადი განათლების მიღებას. თქვენ რომელს ეთანხმებით? (განათლების ჭრილი) (N=5000)



- შშმ ბავშვმა უნდა ისწავლოს ტიპური განვითარების ბავშვებთან ერთად
- შშმ ბავშვმა უნდა ისწავლოს სპეციალიზებულ სკოლაში
- შშმ ბავშვმა უნდა ისწავლოს ჩვეულებრივ სკოლაში, თუმცა ცალკე ჯგუფში სხვა შშმ ბავშვებთან ერთად
- შშმ ბავშვმა ზოგადი განათლება უნდა მიიღოს სახლში

თავი მესამე:
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება

3.1. ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთო მდგომარეობის შეფასება

რესპონდენტებმა 5-ქულიან სკალაზე, სადაც 1 ქულა შეფასების მაქსიმალურად უარყოფითი მაჩვენებელია, ხოლო 5 ქულა - მაქსიმალურად დადებითი, შეაფასეს **ქვეყნაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთო მდგომარეობა.** კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა შეფასებები გაფანტულია: მესამედი (32.5%) შეფასების ნეიტრალურ მაჩვენებელს ემხრობა და ამბობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა არც დადებითია და არც უარყოფითი. გამოკითხულთა მეოთხედი (25.3%) კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არსებულ მდგომარეობას უფრო დადებითად აფასებს, ვიდრე უარყოფითად. პრაქტიკულად ემთხვევა იმ რესპონდენტთა წილი, ვინც შეფასების სკალის უკიდურეს პუნქტებს ირჩევს: 6.4% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მდგომარეობას ძალზე უარყოფითად აფასებს, თითქმის ამდენივე კი - ძალზე დადებითად (6.3%)
(იხ. დიაგრამა #27).

დიაგრამა #27

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთო მდგომარეობის შეფასება (N=5000)



რესპონდენტთა იმ ნაწილის 4.8%, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ოჯახის წევრი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი არ ჰყავთ, საქართველოში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთო მდგომარეობას ძალზე უარყოფითად აფასებს, რესპონდენტთა თითქმის მესამედი (32.8%) კი - ნეიტრალურად. იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც შეფასების მაქსიმალურად დადებით ველში მოათავსეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღევანდელი მდგომარეობა, არის 6.5%. გამოკითხულთა იმ ნაწილის შეფასებები, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ოჯახის წევრი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი ჰყავთ, შემდეგნაირად ნაწილდება: 7.9% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთო მდგომარეობას, დღესდღეობით, საქართველოში ძალზე უარყოფითად აფასებს, 32.2% - ნეიტრალურად, ხოლო 6.2% ძალზე დადებითად.

მონაცემების **კორელაციური** ანალიზი აჩვენებს, რომ არსებობს სტატისტიკურად სანდო მიმართება რესპონდენტთა მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საერთო მდგომარეობის შეფასებასა (დამოკიდებული ცვლადი) და მათთან შემხებლობას (დამოუკიდებელი ცვლადი) შორის: **რესპონდენტები, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის უშუალო გამოცდილება აქვთ, უფრო მეტად უარყოფითად აფასებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთო მდგომარეობას (ჯამში 29.8%), ვიდრე ამ პირებთან შეხების არმქონე რესპონდენტები (23.4%)**[20] (იხ. ცხრილი #12):

ცხრილი #12

შეაფასეთ დღესდღეობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთო მდგომარეობა	**გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი?**	
	არა	**დიახ**
ძალზე უარყოფითი	4.8%	7.9%
უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი	18.6%	21.9%
არც დადებითი და არც უარყოფითი	32.8%	32.2%
უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი	25.1%	25.4%
ძალზე დადებითი	6.5%	6.2%
უარი პასუხზე	0.8%	0.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	11.4%	6.2%

როგორც აღმოჩნდა, შეფასებებზე (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საერთო მდგომარეობის შესახებ) გავლენას ახდენს ის, თუ რომელ რეგიონში ცხოვრობს რესპონდენტი: შეფასებები იცვლება გამოკითხულთა რეგიონული კუთვნილების მიხედვით. ამ ჭრილში მონაცემების განხილვამ შემდეგი სურათი მოგვცა:

- თბილისსა და მცხეთა-მთიანეთში, სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო მაღალია იმ რესპონდენტების წილი, ვინც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მდგომარეობას უარყოფითად აფასებს (თბილისი - 38.7%; მცხეთა-მთიანეთი - 40.6%);

[20]ამ ორ ცვლადს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მიმართება არსებობს: $X^2(6)=71,466$, $p<0.05$

- აჭარასა და რაჭა-ლეჩხუმში/ქვემო სვანეთში, სხვა რეგიონებთან შედარებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობის დადებითი შეფასებები ჭარბობს (თითოეულ რეგიონში დადებითად აფასებს 44%);

- ნეიტრალური შეფასების (არც დადებითად, არც უარყოფითად) წილი ყველაზე მაღალია კახეთსა და შიდა ქართლში (კახეთი - 38.6%, შიდა ქართლი - 42.5%).

რეგიონულ ჭრილში რესპონდენტთა შეფასებებს კარგად ასახავს საშუალო **მაჩვენებლებიც** (MEAN)[21], რომლებიც დათვლილია 5-ქულიან სკალაზე (სკალის ნეიტრალური პუნქტია 3. როდესაც Mean >3-ზე, ეს დადებით შეფასებას შეესაბამება, ხოლო თუ Mean <3-ზე, უარყოფითი შეფასების მაჩვენებელია)[22] (იხ. დიაგრამა #28).

დიაგრამა #28

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთო მდგომარეობის შეფასება რეგიონების მიხედვით (N=5000)



[21]საკითხი შეფასებულია 5-ქულიან სკალაზე, რომელზეც 1 უარყოფითი შინაარსის გამომხატველია, ხოლო 5 - დადებითის. ნეიტრალური დამოკიდებულება ფიქსირდება 3 ქულით (სკალის შუა პოზიცია), რომლის ქვემოთ (1 ქულისკენ) უარყოფითი კონოტაციის შეფასება ვლინდება, ხოლო ზემოთ (5 ქულისკენ) - დადებითი. საშუალო მაჩვენებელი გამოთვლილია პასუხის კატეგორიების, ქულების, საშუალო არითმეტიკულის დათვლის პრინციპით.
[22]რესპონდენტთა შეფასებებსა და საცხოვრებელ ადგილებს შორის არის სტატისტიკურად სანდო მიმართება: $x^2(60)= 655,239$, $p <0.05$

3.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი საჭიროებები

კვლევის შედეგად გამოვლინდა, **თუ რა ძირითადი საჭიროებები აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საქართველოში დღესდღეობით.**

საჭიროებები დიფერენცირებულია სამ წყებად - პირველი, მეორე და მესამე რიგის. რესპონდენტებს მიეწოდათ ბარათი, რომელზეც ჩამოთვლილი იყო 18 საჭიროება და მათ შორის უნდა გამოეყოთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი (ამასთან, რესპონდენტებს შეეძლოთ ახალი საჭიროების დამატებაც); ჩამონათვალში მოხვდა: სამედიცინო დახმარება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა, გარემოს მისაწვდომობა (ლიფტები, პანდუსები, სველი წერტილები და ა.შ.) მატერიალური დახმარება, კომუნიკაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (ჟესტური ენა მედიაში, ბრაილის შრიფტის გამოყენება და ა.შ.), ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, მატერიალური დახმარება, სხვადასხვა პროგრამაზე ხელმისაწვდომობა და სხვა.

პირველი რიგის საჭიროებად რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა (41.4%) გამოყო სამედიცინო დახმარება. ამ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ჩამორჩება მათი რაოდენობა,ვინცპირველირიგისსაჭიროებებად დაასახელა მატერიალური დახმარება (12.1%), მედიკამენტებით უზრუნველყოფა (10.8%) ან გარემოს მისაწვდომობა (10.4%). 5%-ზე ნაკლებია იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც პირველი რიგის საჭიროებებად ასახელებენ სერვისებს, როგორიცაა: კომუნიკაციის ხელმისაწვდომობა (3.3%); ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა (2.9%); საკვები პროდუქტებითა (1%) და ჰიგიენური საშუალებებით (0.2%) დახმარება; პერსონალური ასისტენტით (0.6%), დამხმარე საშუალებებითა (4.2%) და სოციალური სერვისებით (3.2%) უზრუნველყოფა; განათლების პროგრამაზე ხელმისაწვდომობა (1.8%) და ა.შ. (იხ. დიაგრამა #29).

დიაგრამა #29

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირველი რიგის საჭიროებები (N=5000)



რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა **მეორე რიგის** საჭიროებებს, ამ შემთხვევაში გამოკითხულთა მეხუთედზე მეტი (22.5%) ასახელებს მედიკამენტებით უზრუნველყოფას, 14.5% კი - მატერიალურ დახმარებას. თითქმის იდენტური მაჩვენებლით, მეორე რიგის საჭიროებებს შორის დაასახელდა სამედიცინო დახმარება (11.4%) და გარემოს მისაწვდომობა (11.7%). 5%-დან 7%-მდე მერყეობს მათი რაოდენობა, ვინც მეორე რიგის საჭიროებებად მიიჩნია კომუნიკაციისა და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა.

გამოკითხულთა 16.7% ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მატერიალური დახმარება არის **მესამე რიგის** საჭიროება. 12.2%-ის შეფასებით, ამ რიგის საჭიროებად სახელდება გარემოს მისაწვდომობაც. 5%-დან 10%-მდე მერყეობს მათი რაოდენობა, ვინც ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მესამე რიგის საჭიროებებს განეკუთვნება: მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სამედიცინო დახმარება, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, დამხმარე საშუალებებითა და სოციალური სერვისებით უზრუნველყოფა და დასაქმების ხელმისაწვდომობა.

თუ პირველი, მეორე და მესამე რიგის საჭიროებებს **ერთიანობაში რანჟირებულ რიგად წარმოვადგენთ, პრიორიტეტები ასე დალაგდება: 1. სამედიცინო დახმარება; 2. მედიკამენტებით უზრუნველყოფა; 3. მატერიალური დახმარება; 4. გარემოს მისაწვდომობა** (იხ. დიაგრამა #30).

დიაგრამა #30

რა სჭირდებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დღეს საქართველოში?



აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შეფასებასა და მათ საცხოვრებელ რეგიონს შორის სტატისტიკურად სანდო მიმართება ვლინდება:[23]

- რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო ქართლში გამოკითხული რესპონდენტების ნახევარზე მეტმა აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პირველი რიგის საჭიროება არის სამედიცინო დახმარება;

- თბილისში, შიდა ქართლსა და სამეგრელო/ზემო სვანეთში, სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო მეტად უსვამენ ხაზს გარემოს ხელმისაწვდომობას, როგორც პირველი რიგის საჭიროებას (თბილისი - 15.4%; შიდა ქართლი - 15.8%, სამეგრელო/ზემო სვანეთი - 13.8%);

- მედიკამენტებით უზრუნველყოფას პირველი რიგის საჭიროებად გამოყოფენ შიდა ქართლისა (16.8%) და იმერეთის (15.4%) რეგიონებში;

- მატერიალური დახმარება, როგორც პირველი რიგის საჭიროება, აქცენტირებულია ქვემო ქართლსა (30.2%) და მცხეთა-მთიანეთში (19.9%).

[23]რესპონდენტთა საცხოვრებელ ადგილებსა და პირველი რიგის საჭიროებათა შეფასებებს შორის არსებობს სტატისტიკურად სანდო მიმართება: $x^2(190)=1090.123$, $p<0.05$

3.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხი

თავდაპირველად რესპონდენტებმა განსაზღვრეს, **თუ რა უშლის ხელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში: ა) სოციალური გარემო (რომელშიც უწევთ ცხოვრება), თუ ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობა.** შესაბამისად, რესპონდენტებს უნდა დაედგინათ, ამ ორი ასპექტიდან რომელი უფრო მნიშვნელოვანია მათი ინტეგრაციისთვის.

კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა უმრავლესობა (57.8%) ფიქრობს, რომ საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვან ინტეგრაციას, პირველ რიგში, ხელს უშლის **სოციალური გარემო,** რომელშიც საზოგადოების ამ ჯგუფს უწევს ცხოვრება; 33.4%-ის აზრით, განმსაზღვრელია თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა; გამოკითხულთა 8.1%-ს კი გაუჭირდა მათი ინტეგრაციის ხელშემშლელი ფაქტორის დასახელება (იხ. დიაგრამა #31).

დიაგრამა #31

საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშემშლელი ფაქტორები (N=5000)



თუ რესპონდენტთა შეფასებებს **რეგიონების ჭრილში** განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ხელშემშლელ ძირითად ფაქტორად სოციალურ გარემოს მიიჩნევენ სამცხე-ჯავახეთში (38.5%), მცხეთა-მთიანეთში (46.3%), კახეთსა (47.1%) და გურიაში (49.2%) მცხოვრები რესპონდენტები; დანარჩენ რეგიონებში იმ რესპონდენტების წილი, ვინც სოციალურ გარემოზე აპელირებს, 52%-დან 73%-მდე მერყეობს. აქვე აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ხელშემშლელ ფაქტორს, უფრო მეტ „წონას“ მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში (46.8%) ანიჭებენ[24] (იხ. დიაგრამა #32).

დიაგრამა #32

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემშლელი ფაქტორები რეგიონულ ჭრილში (N=5000)



გამოკითხვის მომდევნო ეტაპზე, რესპონდენტებმა შეაფასეს, თუ **რამდენად უზრუნველყოფილია თანასწორი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის,** რათა მათ შეძლონ განათლების მიღება, დასაქმება, სამედიცინო მომსახურების, ასევე, სახელმწიფო და კერძო სერვისების (საბანკო მომსახურება, განთავსებისა და კვების ობიექტები და სხვა) მიღება.

ა) რაც შეეხება **განათლების** შესაძლებლობების შეფასებას, გამოკითხულთა პოზიციები გაიყო: ერთმა ნაწილმა (43.9%) აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და საზოგადოების დანარჩენ წევრებს განათლების მიღების თანასწორი შესაძლებლობები აქვთ;

[24]საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშემშლელი ფაქტორების შეფასებასა და რესპონდენტთა საცხოვრებელ ადგილებს შორის სტატისტიკურად სანდო მიმართებები ვლინდება: $X^2(30)=391.971$, $p<0.05$.

მეორე ნაწილის (43.6%) აზრით კი, საზოგადოების ეს ჯგუფი განათლების მიღების კუთხით შედარებით მოწყვლადია და არათანასწორი შესაძლებლობებით სარგებლობენ (გამოკითხულთა 12.1%-ს გაუჭირდა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა)
(იხ. დიაგრამა #33).

დიაგრამა #33

აქვთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს განათლების მიღების თანასწორი შესაძლებლობები? (N=5000)



უნდა ითქვას, რომ სტატისტიკურად სანდო მიმართება ვლინდება განათლების მიღების შესაძლებლობათა შეფასებასა და რესპონდენტთა საცხოვრებელ ადგილებს (რეგიონებს) შორის;[25] კერძოდ:

- თბილისში, იმერეთსა და მცხეთა-მთიანეთში გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა (51-56%-ის ფარგლებში), სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს განათლების მიღების არათანასწორი შესაძლებლობები აქვთ საზოგადოების სხვა წევრებთან შედარებით.
- იმ რესპონდენტთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს თანასწორ პირობებში შეუძლიათ განათლების მიღება, ფიქსირდება სამეგრელო/ზემო სვანეთსა (55.6%) და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში (54.9%)
(იხ. დიაგრამა #34).

[25]ცვლადებს შორის სტატისტიკურად სანდო ურთიერთმიმართებას ადასტურებს შემდეგი ჩანაწერი: $X^2(30)=281.517$, $p<0.05$

დიაგრამა #34

აქვთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს განათლების მიღების თანასწორი შესაძლებლობები? (რეგიონული ჭრილი) (N=5000)



ბ) გამოკითხულთა უმრავლესობამ (63.8%) აღნიშნა, რომ დასაქმების კუთხით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არათანაბარი შესაძლებლობები გააჩნიათ საზოგადოების სხვა წევრებთან შედარებით. რესპონდენტთა მეოთხედზე ნაკლები (23.9%) ფიქრობს, რომ შრომის ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და საზოგადოების სხვა წევრების დასაქმების შესაძლებლობები თანაბარია (იხ. დიაგრამა #35):

დიაგრამა #35

აქვთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დასაქმების თანასწორი შესაძლებლობები? (N=5000)



სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნული საკითხი კორელაციურად უკავშირდება **რესპონდენტთა შემხებლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან: რესპონდენტები, რომლებსაც ჰყავთ ასეთი ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი, უფრო მეტად მიუთითებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების არათანაბარ შესაძლებლობებზე** (66.2%), ვიდრე ისინი, ვისაც ასეთ პირებთან ურთიერთობის გამოცდილება არ აქვთ (61.1%)[26] (იხ. ცხრილი #14):

ცხრილი #14

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ?	გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი / თანამშრომელი/მეზობელი?	
	არა	დიახ
დიახ	23.6%	24.3%
არა	61.1%	66.2%
უარი პასუხზე	0.5%	0.5%
არ ვიცი	14.7%	9%

გარდა ზემოთქმულისა, რესპონდენტთა შეფასებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების შესაძლებლობებთან მიმართებით, განსხვავდება რეგიონების მიხედვით: ყველაზე მეტად დასაქმების შესაძლებლობათა უთანასწორობაზე აპელირებენ შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში გამოკითხული რესპონდენტები (შესაბამისად, 71.5% და 74.8%) (იხ. დიაგრამა #36).

დიაგრამა #36

აქვთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დასაქმების თანასწორი შესაძლებლობები? (რეგიონული ჭრილი) (N=5000)



[26]აღნიშნულ ორ ცვლად შორის მიმართება სტატისტიკურად სანდოა: $x^2(3) = 40.610$, $p<0.05$

გ) სამედიცინო მომსახურების მიღების თვალსაზრისით, რესპონდენტთა უმრავლესობა (61.9%) ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და საზოგადოების სხვა წევრებს თანაბარი ხელმისაწვდომობა აქვთ ამ სერვისზე; გამოკითხულთა, დაახლოებით, მეოთხედს (26.2%) კი ამ საკითხზე საპირისპირო აზრი აქვს (იხ. დიაგრამა #37).

დიაგრამა #37

შშმ პირებს სამედიცინო მომსახურების თანასწორი შესაძლებლობები აქვთ? (N=5000)



მონაცემების ანალიზი აჩვენებს სტატისტიკურად სანდო მიმართებას სამედიცინო მომსახურების შესაძლებლობათა შეფასებასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან რესპონდენტთა შემხებლობას შორის.[27] კერძოდ, საინტერესოა ის, რომ რესპონდენტები, რომლებსაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი, უფრო მეტად მიუთითებენ შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სამედიცინო მომსახურების თანაბარ შესაძლებლობებზე (65.6%), ვიდრე ისინი, რომლებსაც არ აქვთ შეხება ასეთ პირებთან (57.9%) (იხ. ცხრილი #15):

ცხრილი #15

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სამედიცინო მომსახურების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ?	გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი?	
	არა	დიახ
დიახ	57.9%	65.6%
არა	28.1%	24.3%
უარი პასუხზე	0.3%	0.2%
არ ვიცი	13.7%	9.8%

[27]სტატისტიკურად სანდო ურთიერთმიმართებას აღწერს შემდეგი ჩანაწერი: $x^2(3) = 35.376$, $p<0.05$

რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობათა შეფასებას **რეგიონების** ჭრილში, იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და საზოგადოების სხვა წევრებს სამედიცინო მომსახურების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ, ყველაზე მაღალია რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთსა (73%) და შიდა ქართლში (71.1%), ხოლო ყველაზე დაბალი - იმერეთში (36.6%). მეტიც: იმერეთში გამოკითხული ყოველი მეორე რესპონდენტი (50.8%) ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სამედიცინო მომსახურების მიღების თვალსაზრისით, არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ[28] (იხ. დიაგრამა #38).

დიაგრამა #38

აქვთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სამედიცინო მომსახურების მიღების თანასწორი შესაძლებლობები? (რეგიონული ჭრილი) (N=5000)



დ) **სახელმწიფო და კერძო სერვისების მიღების შესაძლებლობები** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და საზოგადოების სხვა წევრებისთვის, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, თანაბარია. სახელმწიფო სერვისების (საჯარო რეესტრი, შემოსავლების სამსახური და სხვა) შემთხვევაში, გამოკითხულთა 56.1% ფიქრობს, რომ შესაძლებლობები თანაბარია; კერძო სექტორის შემთხვევაში (საბანკო მომსახურება, განთავსების და კვების ობიექტები და სხვა) კი - 53.3%; რესპონდენტთა იმ ნაწილის პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ფიქრობენ, რომ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში სერვისების მიღების შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არათანაბარია, 28%-ს არ აღემატება (იხ. დიაგრამა #39).

[28]რეგიონულ ჭრილში მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $x2(30) = 455.220$, $p<0.05$

დიაგრამა #39

აქვთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სახელმწიფო და კერძო სერვისების მიღების თანასწორი შესაძლებლობები? (N=5000)



აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა შეფასებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ სახელმწიფო და კერძო სერვისების მიღებაზე, განსხვავებულია რეგიონების მიხედვით: თბილისში (72.3%), რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთსა (65.8%) და შიდა ქართლში (64.2%) უფრო მეტად დარწმუნებულნი არიან, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და საზოგადოების სხვა წევრებს სახელმწიფო სერვისების მიღება თანასწორად შეუძლიათ. იმერეთის რეგიონი გამოირჩევა იმით, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (56%) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის არათანაბარ შესაძლებლობებზე მიუთითებს[29]
(იხ. ცხრილი #16):

[29]რეგიონების ჭრილში მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $x^2(30) = 552.273$, $p<0.05$

ცხრილი #16

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სახელმწიფო სერვისების მიღების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ?	რეგიონი										
	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
დიახ	72.3%	54.6%	53.7%	29.9%	52.2%	53.3%	65.8%	53.3%	59.1%	58.1%	64.2%
არა	19.8%	31.3%	12.4%	56.0%	29.4%	29.7%	15.8%	25.3%	20.6%	18.5%	23.8%
უარი პასუხზე	0.1%	0.5%		0.7%	0.2%	0.3%	0.5%	0.9%		2.2%	
არ ვიცი	7.8%	13.6%	33.9%	13.5%	18.2%	16.7%	17.8%	20.4%	20.3%	21.2%	12.0%

რეგიონების ჭრილში მსგავსი ტენდენცია ვლინდება კერძო სერვისების მიღების შესაძლებლობათა შეფასებების მიმართ: თბილისში (66.4%), რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთსა (62.7%) და შიდა ქართლში (63.5%) კვლავ ყველაზე მაღალი წილია ქვს თანაბარი შესაძლებლობების აღიარებას. ისევ გამოირჩევიან იმერეთში გამოკითხული რესპონდენტები: უმრავლესობის (54.4%) აზრით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არათანაბარი ხელმისაწვდომობა აქვთ კერძო სერვისებზე. არათანაბარ შესაძლებლობებზე მიუთითებს კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში გამოკითხულ რესპონ-დენტთა მესამედიც[30]
(იხ. ცხრილი #17).

ცხრილი #17

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს კერძო სერვისების მიღების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ?	რეგიონი										
	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
დიახ	66.4%	53.5%	50.5%	28.8%	48.5%	49.1%	62.7%	48.7%	60.2%	55.2%	63.5%
არა	23.0%	30.2%	13.9%	54.4%	33.3%	32.4%	16.1%	24.9%	19.8%	18.7%	24.2%
უარი პასუხზე		0.9%		0.9%	0.7%		0.8%	2.7%		2.0%	
არ ვიცი	10.6%	15.4%	35.5%	15.9%	17.4%	18.5%	20.4%	23.8%	20.1%	24.1%	12.2%

სტატისტიკურმა ანალიზმა ასევე აჩვენა, თუ რა გავლენას ახდენს რესპონდენტის საახლობლო წრეში (იქნება ეს ოჯახი, სამეზობლო, სამეგობრო თუ სხვა) **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ყოფნა/არყოფნა** სახელმწიფო და კერძო სერვისების მიღების შესაძლებლობათა შეფასებაზე: იმ რესპონდენტთა უფრო დიდმა ნაწილმა, რომლებსაც საახლობლო წრეში ასეთი პირები ჰყავთ, აღნიშნა, რომ სახელმწიფო და კერძო სერვისების მიღების თვალსაზრისით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს თანაბარი შესაძლებლობები აქვთ: კერძოდ, 60.1% ასე ფიქრობს სახელმწიფო სერვისების კონტექსტში და 56.7% კი - კერძო სერვისების მიღების კუთხით (იხ. ცხრილები ##18,19).

[30]რეგიონულ ჭრილში განხილული მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $x^2(30) = 552.273$, $p<0.05$

ცხრილი #18

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სახელმწიფო სერვისების მიღების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ?	გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი?	
	არა	დიახ
დიახ	51.9%	60.1%
არა	28.2%	25.0%
უარი პასუხზე	0.6%	0.3%
არ ვიცი	19.3%	14.5%
		$x^2(3) = 38.308$, $p<0.05$

ცხრილი #19

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს კერძო სერვისების მიღების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ?	გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი?	
	არა	დიახ
დიახ	49.7%	56.7%
არა	28.2%	26.7%
უარი პასუხზე	1.1%	0.3%
არ ვიცი	21.0%	16.4%
		$x^2(3) = 40.263$, $p<0.05$

3.4. სახელმწიფო პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ

რესპონდენტებს მიეწოდათ ალტერნატიულ დებულებათა რამდენიმე წყვილი, რომლებიც შეეხებოდა სახელმწიფო პოლიტიკას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ. მათ უნდა ამოერჩიათ ის დებულება, რომელსაც ეთანხმებოდნენ (სრულად ან მეტ-ნაკლებად).

1. დებულებათა პირველი წყვილი შეეხებოდა სახელმწიფო პოლიტიკას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების შესაძლებლობებზე. რესპონდენტთა გამოკვეთილმა უმრავლესობამ (70%) აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიურ განათლებას ყველა საფეხურზე - იქნება ეს ზოგადი, პროფესიული თუ უმაღლესი. გამოკითხულთა, დაახლოებით, მეოთხედი (23.8%) კი ფიქრობს, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს არა ინკლუზიური განათლების ხელშეწყობაზე, არამედ მეტი სპეციალიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების გახსნაზე, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განცალკევებით მიიღებენ განათლებას. გამოკითხულთა 0.8% არცერთ დებულებას არ ეთანხმება
(იხ. დიაგრამა #40).

დიაგრამა #40

ალტერნატიული დებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლებით უზრუნველყოფის შესახებ (N=5000)



კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 70%-დან (ვინც ინკლუზიური განათლების სახელმწიფო პოლიტიკას იზიარებს) 45.2% ეთანხმება მოსაზრებას ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის შესახებ, 24.8% კი სრულიად ეთანხმება.

მონაცემების კორელაციურმა ანალიზმა ერთი საინტერესო შედეგი აჩვენა: იმ რესპონდენტებს შორის, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, უფრო მეტი ემხრობა მათთვის სპეციალიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნას (25.5%), ვიდრე რესპონდენტებში, რომლებსაც ასეთი გამოცდილება არ აქვთ (22%)[31] (იხ. ცხრილი #20). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე რესპონდენტთა გარკვეული ნაწილის ასეთ პოზიციას განაპირობებს ინკლუზიური განათლების პრაქტიკის სირთულეები და წინააღმდეგობები, რაც ყველაზე მეტად სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს აზარალებს. კერძოდ, ინკლუზიური განათლების სისტემა საქართველოში ჯერჯერობით არ არის სრულყოფილი. ხშირად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართულობას სასწავლო პროცესში აქვს ფორმალური სახე და ვერ იღებენ სათანადო განათლებას. დღესდღეობით, ბევრი საუბრობს სპეციალური პედაგოგების ნაკლებობაზე, არსებული კადრის არასათანადო კვალიფიკაციაზე, პერსონალურ ასისტენტთა მწვავე ნაკლებობაზე და ა.შ.

ცხრილი #20

ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით?	გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი?	
	არა	დიახ
სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიურ განათლებას	70.7%	69.3%
სახელმწიფომ უნდა იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სპეციალიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნაზე	22.0%	25.5%
არცერთს არ ვეთანხმები	1.0%	0.6%
უარი პასუხზე	0.5%	0.2%
მიჭირს პასუხის გაცემა	5.9%	4.4%

რესპონდენტთა მოსაზრებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების პოლიტიკაზე სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა საცხოვრებელი რეგიონების ჭრილში: აჭარაში ყველაზე მაღალია იმ რესპონდენტთა წილი (86.7%), ვინც მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიურ განათლებას. ამისგან განსხვავებით, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ყოველი მეორე გამოკითხული (50.9%) თვლის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უმჯობესია სპეციალიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნა[32] (იხ. დიაგრამა #41).

[31]სხვაობა ამ ორი ჯგუფის რესპონდენტთა მოსაზრებებს შორის სტატისტიკურად სანდოა: $x^2(4)=17.797$, $p<0.05$
[32]რეგიონულ ჭრილში მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $x^2(40)=436.547$, $p<0.05$

დიაგრამა #41

ალტერნატიული დებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლებით უზრუნველყოფის შესახებ (რეგიონული ჭრილი) (N=5000)



2. დებულებების **მეორე წყვილი** შეეხებოდა **ხელისუფლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობას.** გამოკითხულთა 71.2%-ის აზრით, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ასეთ პირთა წარმომადგენლობის გაზრდას ხელისუფლების ყველა დონეზე, იქნება ეს ეროვნული, ადგილობრივი თუ რეგიონული; რესპონდენტთა 15.2%-ის შეფასებით, ხელისუფლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოფნა უნდა იყოს ლიმიტირებული (კვოტირებული), რადგან მათი დიდი წარმომადგენლობა ხელისუფლების ეფექტიანობას შეასუსტებს; 2.2% არცერთ დებულებას არ ეთანხმება; მათი რაოდენობა კი, ვისაც გაუჭირდა ამ დებულებებს შორის ერთ-ერთის არჩევა, ან უარი განაცხადა პასუხზე, 10%-დან 12%-მდე მერყეობს (იხ. დიაგრამა #42).

დიაგრამა #42

ალტერნატიული დებულებები ხელისუფლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობის შესახებ (N=5000)



რესპონდენტთა 70%-დან, რომელიც ემხრობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობის გაზრდას ხელისუფლების ყველა დონეზე, 23.9% სრულ თანხმობას გამოთქვამს, ხოლო 47.3% უფრო ეთანხმება ამ დებულებას.

აღსანიშნავია, რომ საკითხი ხელისუფლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობის შესახებ სტატისტიკურად სანდო კორელაციაშია ორ დამოუკიდებელ ცვლადთან:
ა) რესპონდენტთა შემხებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან[33] და ბ) რეგიონული განაწილება.[34] კერძოდ:

- ისინი, ვისაც ასეთი შემხებლობა აქვს, უფრო მეტად უჭერენ მხარს ხელისუფლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობის გაზრდას (72.7%), ვიდრე ასეთი გამოცდილების არმქონე რესპონდენტები (69.7%).

- ხელისუფლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობის გაზრდას ყველაზე მეტად ემხრობიან შიდა ქართლში (90.6%), აჭარასა (82.8%) და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში (82.5%). დანარჩენ რეგიონებში ამ მოსაზრების მომხრე რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები 49%-დან 80%-მდე მერყეობს.

[33]შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შემხებლობის ჭრილში წარმოდგენილი მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $x^2(4)=13.982$, $p<0.05$
[34]რეგიონულ ჭრილებში წარმოდგენილი მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $x^2(40)=514.738$, $p<0.05$

3. ალტერნატიული დებულებების **მესამე** წყვილი ეხებოდა **ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული სოციალური გარემოს შექმნას. გამოკითხულთა დიდი ნაწილი - 85.1% - ამბობს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გარემოს ინფრასტრუქტურულ მოწყობაზე** (პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები და სხვა), რადგან ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათი თავისუფალი გადაადგილებისა და დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობებს. რესპონდენტთა 8.1% კი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ სხვა პრიორიტეტულ საკითხებსა და მწვავე პრობლემებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. მოცემული დებულებებიდან არცერთს არ ეთანხმება 1.3%
(იხ. დიაგრამა #43).

დიაგრამა #43

ალტერნატიული დებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფრასტუქტურის მოწესრიგების შესახებ (N=5000)



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გარემოს ინფრასტრუქტურული მოწყობის მხარდამჭერთა (85.1%) შორის, ამ დებულებას სრულად ეთანხმება 37.4%, 47.6% კი - უფრო ეთანხმება.

ინფრასტრუქტურული გარემოს კეთილმოწყობის საკითხი სტატისტიკურად სანდო კორელაციაშია ისეთ დამოუკიდებელ ცვლადთან, როგორიცაა რესპონდენტთა **რეგიონული განაწილება.**[35] კერძოდ: საყოველთაო მხარდაჭერის ფონზე, მოსაზრებას, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფრასტრუქტურულ ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით ემხრობიან რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთსა (92.1%) და აჭარაში (90.7%).

4. დებულებათა შემდეგი წყვილი ეხებოდა **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სოციალური დახმარების გაზრდის საკითხს. გამოკითხულთა დიდი ნაწილი (81.6%) ემხრობა მოსაზრებას, რომ სახელმწიფომ, სოციალური დახმარების გაზრდაზე ზრუნვისას, დახმარება პირველ რიგში უნდა გაუზარდოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მხოლოდ შემდეგ იფიქროს სხვა სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე.** 9.6%-ია იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ამას უსამართლობად მიიჩნევენ. გამოკითხულთა 1.5% არცერთ დებულებას არ დაეთანხმა. მათი რაოდენობა, ვისაც გაუჭირდა ამ დებულებებს შორის არჩევანის გაკეთება ან უარი განაცხადა პასუხზე, 6%-დან 8%-მდე მერყეობს (იხ. დიაგრამა #44).

დიაგრამა #44

ალტერნატიული დებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სოციალური დახმარების გაზრდის შესახებ (N=5000)



[35]ცვლადებს შორის სტატისტიკურად სანდო მიმართებას გამოხატავს შემდეგი ჩანაწერი: $x^2(40)=308.101$, $p<0.05$

იმ რესპონდენტთაგან, ვინც დაეთანხმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სოციალური დახმარების გაზრდას სხვა სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე ადრე (81.6%), სრულ თანხმობას გამოხატავს რესპონდენტთა 33.6%, ხოლო 48% უფრო ეთანხმება ამ მოსაზრებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სოციალური დახმარების გაზრდის საკითხი კორელაციაშია რესპონდენტთა საცხოვრებელ **რეგიონებთან;** კერძოდ, საერთო მხარდაჭერის ფონზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სოციალური დახმარებების გაზრდას განსაკუთრებით ემხრობიან გურიაში (90.8%), აჭარასა (86.9%) და რაჭა-ლეჩხუმ/ქვემო სვანეთში (88.3%).[36]

5. დებულებათა ერთ-ერთი წყვილი შეეხებოდა **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრირების საკითხს.** გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა (87.2%) აღნიშნა, რომ სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს მათ ინტეგრირებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ჩართულობას კულტურულ თუ სპორტულ აქტივობებში. მათგან 37.6% დებულებას სრულიად ეთანხმება, 49,5% კი უფრო ეთანხმება. რესპონდენტთა 4.4% აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაცია კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში იმ დოზით, როგორც ჩართულნი არიან სხვა პირები, მხოლოდ და მხოლოდ მდიდარი ქვეყნების პრივილეგიაა და არა საქართველოსი (იხ. დიაგრამა #45).

დიაგრამა #45

ალტერნატიული დებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კულტურულ და სპორტულ აქტივობებში ჩართვის შესახებ (N=5000)



[36]რეგიონულ ჭრილში მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $x^2(40)=278.315$, $p<0.05$

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ (კერძოდ, კულტურულ და სპორტულ) ცხოვრებაში ინტეგრირების საკითხი **კორელაციაშია** ორ დამოუკიდებელ ცვლადთან: ა) რესპონდენტთა შემხებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და ბ) რეგიონული განაწილება. კერძოდ:

- რესპონდენტთა იმ ჯგუფში, რომელსაც არ ჰყავს საახლობლო წრეში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, 85.6% ეთანხმება, რომ სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარ მონაწილეობას კულტურულ და სპორტულ აქტივობებში. თუმცა, ეს მხარდაჭერა უფრო მატულობს (88.5%) რესპონდენტებში, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან.

- კახეთში (97.1%), შიდა ქართლში (95.1%), რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთსა (90.7%) და გურიაში (90.5%) გამოკითხული რესპონდენტები გამოირჩევიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ (კერძოდ, კულტურულ და სპორტულ) ცხოვრებაში ინტეგრირების დიდი მხარდაჭერით.

როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შეხების,[37] ისე რეგიონულ ჭრილში[38] დათვლილი მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი არსებული სახელმწიფო პოლიტიკის შეფასებისას, რესპონდენტებმა დაასახელეს **უწყებები, სტრუქტურები, ორგანიზაციები თუ ინსტიტუტები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ პირებისთვის საჯარო ადგილებში ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე.** აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ რესპონდენტებმა მოახდინეს მათი რანჟირება დაკისრებული პასუხისმგებლობის მიხედვით:

გამოკითხულთა უმრავლესობა (69.2%) ფიქრობს, რომ აღნიშნულ საკითხზე, პირველ რიგში, პასუხისმგებელია **საქართველოს ცენტრალური მთავრობა.** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საჯარო ადგილებში ინტეგრაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას უპირველესად ადგილობრივ თვითმმართველობებს აკისრებს 10.6%. 7%-ზე დაბალია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ პირველი რიგის პასუხისმგებლობა ამ საკითხის მოგვარებაში უნდა დაეკისროს რეგიონის ხელისუფლებას (6.3%), სახალხო დამცველის აპარატს (2.1%), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს (4.5%), საერთაშორისო ორგანიზაციებსა (0.7%) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახებს (0.7%)
(იხ. დიაგრამა #46).

[37]ცვლადებს შორის სტატისტიკურად სანდო ურთიერთმიმართებას გამოხატავს შემდეგი ჩანაწერი: $x^2(4)=20.160$, $p<0.05$
[38]ცვლადებს შორის სტატისტიკურად სანდო ურთიერთმიმართებას გამოხატავს შემდეგი ჩანაწერი: $x^2(40)=514.738$, $p<0.05$

დიაგრამა #46

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საჯარო ადგილებში ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე პირველ რიგში პასუხისმგებელი ორგანოები (N=5000)



მონაცემთა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო[39] მიმართება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საჯარო ადგილებში ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე პირველ რიგში პასუხისმგებელ აქტორთა შეფასებასა და რესპონდენტის საცხოვრებელ რეგიონს შორის: იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საჯარო ადგილებში სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე პირველი რიგის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს ცენტრალურ მთავრობას, რეგიონების მიხედვით მერყეობს 54%-დან 78%-მდე. ამ კუთხით, რესპონდენტების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება სამეგრელო/ზემო-სვანეთის (77.3%), იმერეთის (76.3%), კახეთისა (74%) და გურიის (73.8%) რეგიონებში, ყველაზე დაბალი კი - სამცხე-ჯავახეთში (54.5%). ასევე, აღსანიშნავია, რომ რაჭა-ლეჩხუმში გამოკითხული მოსახლეობის 23.2%, ამ მხრივ, პირველი რიგის პასუხისმგებლობას აკისრებს ადგილობრივ თვითმართველობას, ხოლო აჭარაში, სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე მეტად ხედავენ რეგიონული ხელსუფლების პასუხისმგებლობას (12.2%) (იხ. ცხრილი #21):

[39]ცვლადებს შორის სტატისტიკურად სანდო ურთიერთმიმართებას გამოხატავს შემდეგი ჩანაწერი: $x^2(90)=458.041$, $p<0.05$

ცხრილი #21

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საჯარო ადგილებში ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე პირველ რიგში პასუხისმგებელი ორგანოები:	რეგიონი										
	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
საქართველოს ცენტრალური მთავრობა	68.8%	66.7%	73.8%	76.3%	74.0%	57.9%	59.8%	77.3%	54.5%	69.9%	76.2%
რეგიონის ხელისუფლება	5.2%	12.2%	2.1%	7.8%	2.0%	8.2%	7.1%	5.3%	6.4%	7.4%	5.4%
ადგილობრივი თვითმმართველობა	10.6%	7.2%	13.1%	5.4%	7.0%	15.4%	23.2%	6.4%	15.8%	8.9%	9.2%
სახალხო დამცველი	2.7%	1.6%	2.4%	1.2%	1.3%	4.1%	1.4%	1.3%	2.9%	2.7%	1.4%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები	5.8%	4.3%	1.8%	2.4%	3.6%	5.9%	6.3%	7.8%	5.6%	1.7%	3.5%
საერთაშორისო ორგანიზაციები	0.9%	0.7%	1.3%	0.2%	0.7%	0.5%		0.4%	1.1%	1.5%	0.2%
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახები	5.7%	4.3%	4.7%	3.5%	11.2%	6.2%	0.5%	0.2%	11.8%	4.2%	3.8%
საზოგადოება	0.1%									0.2%	
უარი პასუხზე				0.9%			0.5%	0.2%		0.2%	
მიჭირს პასუხის გაცემა	0.1%	2.9%	0.8%	2.4%	0.2%	1.8%	1.1%	0.9%	1.9%	3.2%	0.2%

რესპონდენტთა აზრით, შეზღუდული შესაძ-ლებლობის მქონე პირებისთვის საჯარო ადგილებში ხელმისაწვდომობის გაზრდისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით, მეორე რიგის პასუხისმგებლობა უნდა მიენიჭოს რეგიონის ხელისუფლებასა (31%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (29.1%), 12.7%-ის აზრით კი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს (იხ. დიაგრამა #47).

დიაგრამა #47

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საჯარო ადგილებში ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მეორე რიგში პასუხისმგებელი ორგანოები (N=5000)



იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც საუბრობენ მესამე რიგის პასუხისმგებლობის მქონე უწყებების, სტრუქტურების, ორგანიზაციებისა თუ ინსტიტუტების შესახებ, გადანაწილდა შემდეგნაირად: გამოკითხულთა 29.6%-ის აზრით,ადგილობრივითვითმმართველობაა ის უწყება, რომელსაც უნდა მიენიჭოს მესამე რიგის პასუხისმგებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჯარო ადგილებში ინტეგრაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით; 17% ამბობს, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების როლი; 14.3% მესამე რიგის პასუხისმგებლობას აკისრებს რეგიონის ხელისუფლებას; 11.7% კი - თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახებს (იხ. დიაგრამა #48).

დიაგრამა #48

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საჯარო ადგილებში ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მესამე რიგში პასუხისმგებელი ორგანოები (N=5000)



აღსანიშნავია ის, რომ გამოკითხულთა ძალიან მცირე ნაწილი მიუთითებს საზოგადოების როლსა და მონაწილეობაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საჯარო ადგილების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში. ეს ნაწილი საზოგადოების როლს მხოლოდ მესამე რიგის პასუხისმგებლობად ასახელებს.

თუ პირველ, მეორე და მესამე რიგში პასუხისმგებელ აქტორებზე რესპონდენტთა პოზიციებს ერთობლიობაში წარმოვადგენთ, რანჟირებული სია აჩვენებს, რომ **რესპონდენტები მთავარ პასუხისმგებლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციაზე აკისრებენ სამ სტრუქტურას: 1. საქართველოს მთავრობა; 2. ადგილობრივი თვითმმართველობა და 3. რეგიონის ხელისუფლება**
(იხ. დიაგრამა #49).

დიაგრამა #49

საჯარო სივრცეში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციაზე პასუხისმგებელი ორგანოები (N=5000)



შენიშვნა: დიაგრამაზე პასუხების ჯამი 100%-ს აჭარბებს, რადგან დათვლილია არა რესპონდენტთა რაოდენობა, არამედ მათ მიერ დასახელებული შემთხვევები.

რესპონდენტებმა 5-ქულიან სკალაზე შეაფასეს, რამდენად ეთანხმებიან **შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაზე კვოტების დაწესებას საჯა-რო და კერძო ორგანიზაციებში** (სკალა-ზე ქულა 1 - ნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები", ხოლო ქულა 5 – „სრულიად ვეთანხმები"). ამ საკითხზე რესპონდენტთა მოსაზრებები დადებითია: 30.1% სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ **საჯარო** ორგანიზაციებში უნდა დაწესდეს კვოტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაზე, 31% კი - უფრო ეთანხმება. გამოკითხულთა 13.8% ამბობს, რომ ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს ამ საკითხისადმი; 10%-ზე დაბალია მათი რაოდენობა, ვინც შეფასების უარყოფით ველში მოათავსა საკუთარი პოზიცია და აღნიშნა, რომ საერთოდ არ ეთანხმება (4.7%) ამ მოსაზრებას, ან უფრო არ ეთანხმება, ვიდრე კი (8.3%).

რაც შეეხება **კერძო** ორგანიზაციებში კვოტების დაწესების საკითხს, აქაც უმრავლესობა პოზიტიურად არის განწყო-ბილი: გამოკითხულთა მეოთხედზე მეტმა აღნიშნა, რომ ამ მოსაზრებას სრულიად ეთანხმება (28.7%) ან უფრო ეთანხმება, ვიდრე არა (31.7%); 14.1% ნეიტრალურ პოზიციას ამჟღავნებს; რაც შეეხება იმ რესპონდენტთა რაოდენობას,

რომლებმაც შეფასების ნეგატიურ კონ-ტექსტში განიხილეს ეს დებულება და კერძო ორგანიზაციებში შეზღუდული შესა-ძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაზე კვოტების დაწესების საკითხს საერთოდ არ ეთანხმება, ან უფრო არ ეთანხმება, ვიდრე კი, 10%-ზე ნაკლებია.

დეტალურად, გამოკითხვის მონაცემები იხ. დიაგრამაზე #50

დიაგრამა #50

უნდა დაწესდეს კვოტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაზე? (N=5000)



შენიშვნა: დიაგრამაზე მოცემულია საშუა-ლო მაჩვენებლებიც (Mean)[40], რომლებიც ორივე შემთხვევაში დადებითი შეფასების ველში (Mean>3-ზე) მოხვდა.

კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა შეფა-სებებზე გავლენას ახდენს ფაქტი, ჰყავთ თუ **არა საახლობლო წრეში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.** კერძოდ, იმ რესპონდენტთა 63%, რომლებსაც შეხე-ბა აქვთ ასეთ პირებთან, დაეთანხმა მოსა-ზრებას, რომ საჯარო ორგანიზაციებში უნდა დაწესდეს კვოტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაზე; დათანხმების ხარისხი რამდენადმე იკლებს (59%) იმ რესპონდენტებში, რომლებსაც საახლობლო წრეში ასეთი პირი არ ჰყავთ[41] (იხ. ცხრილი #22):

[40]საკითხი შეფასებულია 5-ქულიან სკალაზე, რომელზეც 1 უარყოფითი შინაარსის გამომხატველია, ხოლო 5 - დადებითის. ნეიტრალური დამოკიდებულება ფიქსირდება 3 ქულით (სკალის შუა პოზიცია), რომლის ქვემოთ (1 ქულისკენ) უარყოფითი კონოტაციის შეფასება ვლინდება, ხოლო ზემოთ (5 ქულისკენ) - დადებითი. საშუალო მაჩვენებელი გამოთვლილია პასუხის კატეგორიების, ქულების, საშუალო არითმეტიკულის დათვლის პრინციპით.
[41]აღნიშნული კორელაცია სტატისტიკურად სანდოა: $x2(6)=36.661$, $p<0.05$

ცხრილი #22

საჯარო ორგანიზაციებში უნდა დაწესდეს კვოტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაზე?	გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი?	
	არა	დიახ
სრულიად ვეთანხმები	30.4%	29.9%
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	28.6%	33.2%
კიდეც ვეთანხმები და არც ვეთანხმები	14.7%	13.0%
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	7.7%	8.8%
საერთოდ არ ვეთანხმები	4.3%	5.1%
უარი პასუხზე	1.1%	0.4%
მიჭირს პასუხის გაცემა	13.2%	9.7%

გამოკითხვა ანალოგიურ შედეგებს აჩვენებს, როდესაც საკითხი ეხება კერძო ორგანიზაციებში კვოტების დაწესებას: ამ მოსაზრებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შემხებლობაში მყოფი რესპონდენტები უფრო მეტად უჭერენ მხარს, ვიდრე ასეთი გამოცდილების არმქონე რესპონდენტები (58.8%)[42] (იხ. ცხრილი #23):

ცხრილი #23

კერძო ორგანიზაციებში უნდა დაწესდეს კვოტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაზე?	გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი?	
	არა	დიახ
სრულიად ვეთანხმები	28.8%	28.7%
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	30.0%	33.2%
კიდეც ვეთანხმები და არც ვეთანხმები	14.6%	13.7%
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	7.2%	8.7%
საერთოდ არ ვეთანხმები	4.7%	5.3%
უარი პასუხზე	1.1%	0.4%
მიჭირს პასუხის გაცემა	13.5%	10.0%

რეგიონების მიხედვით დათვლილი მონაცემები ცხადყოფს, რომ ეს ჭრილი (რეგიონი) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რესპონდენტთა შეფასებაზე - უნდა დამტკიცდეს თუ არა საჯარო და კერძო ორგანიზაციებში კვოტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მაჩვენებლებზე. კერძოდ, საერთო მხარდაჭერის ფონზე, მცხეთა-მთიანეთში, აჭარაში, იმერეთსა და შიდა ქართლში გამოკითხულები უფრო პოზიტიურად არიან განწყობილნი კვოტირების საკითხის მიმართ (როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში)[43] (იხ. დიაგრამები #51, #52).

[43]რეგიონების ჭრილში მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია: საჯარო ორგანიზაციებთან მიმართებით: $x2(60)=686.099$, $p<0.05$; კერძო ორგანიზაციებთან მიმართებით: $x2(4)=675.283$, $p<0.05$)

დიაგრამა #51

საჯარო ორგანიზაციებში უნდა დაწესდეს კვოტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაზე? (N=5000)



დიაგრამა #52

კერძო ორგანიზაციებში უნდა დაწესდეს კვოტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაზე? (N=5000)



კიდევ ერთი შეკითხვა, რომელსაც რესპონდენტებმა უპასუხეს, ეხებოდა იმას, **უნდა დაუწესდეს თუ არა კერძო ორგანიზაციებს საგადასახადო შეღავათები, თუ ისინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დაასაქმებენ.** რესპონდენტთა უმრავლესობა (63.8%) ამ ინიციატივას ეთანხმება (მათგან 34.1% - სრულიად ეთანხმება). კატეგორიულად რეზისტენტულთა („საერთოდ არ ვეთანხმები“) წილი მცირეა (5.5%)
(იხ. დიაგრამა #53).

დიაგრამა #53

კერძო ორგანიზაციებს უნდა დაუწესდეთ საგადასახადო შეღავათები, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დაასაქმებენ? (N=5000)



კორელაციური ანალიზი აჩვენებს, რომ იმ რესპონდენტებში, რომელთაც აქვთ შეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, მატულობს კერძო ორგანიზაციებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესების მხარდაჭერა[44]
(იხ. ცხრილი #24).

[44]ცვლადებს შორის ურთიერთმიმართება სტატისტიკურად სანდოა: $x^2(6)=41.755$, $p<0.05$

ცხრილი #24

კერძო ორგანიზაციებს უნდა დაუწესდეთ საგადასახადო შეღავათები, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დაასაქმებენ?	გყავთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/თანამშრომელი/მეზობელი?	
	არა	დიახ
სრულიად ვეთანხმები	32.8%	35.4%
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	29.4%	30.0%
კიდეც ვეთანხმები და არც ვეთანხმები	13.1%	12.3%
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	5.7%	6.5%
საერთოდ არ ვეთანხმები	4.6%	6.4%
უარი პასუხზე	1.3%	0.5%
მიჭირს პასუხის გაცემა	13.1%	9.0%

თბილისი 2020